

**ისტორია ♦ History ♦ История**

ბიძინა ჩოლოყაშვილი

**ქართულენოვანი ეკლესიის წინასწარმეტყველი**

ვუძღვნი  
საქართველოსათვის  
აღსრულებულთა  
ხსოვნას

ქართველი ერის წარსულისა და მომავლის ამსახველ ძეგლთა შორის შემონახულია სიბრძნით შენიღბული გამაფრთხილებელი ინფორმაცია, რომელიც დაფარულად მოგვითხრობს, თუ რა უნდა მოხდეს მომავალ დროში ქართულენოვანი ეკლესიის წიაღში.

აღსანიშნავია, რომ ქართველთა ქვეყანაში გაცხადებული ეს-ქატოლოგიური მოვლენის მაუწყებელი ინფორმაცია, ჩანერილია დედათა დიაკონად ხელთდასხმულ [ჩოლოყაშვილი, 2008 : 17-20], უფლის განუყოფელ კვართზე ჭეშმარიტი ეკლესიის ასაგებად მოღვაწე „ნინოდ“ წოდებულ, ღმრთისმომშიში ქალწულის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებში, რამდენადაც სულიწმიდის მადლით შემოსილ მოციქულთასწორ წმიდა ნინოს სწორედ უფალმა გამოუცხადა საღმრთო ცოდნა, როცა იგი ლოცვაში იყო ჩაძირული.

ქართულენოვანი ეკლესიის გამაფრთხილებელი ინფორმაცია წერილობით შემონახულია უცნობი ავტორის მიერ IX საუკუნეში შედგენილ ქართულ საისტორიო კრებულში – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და XI საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ლეონტი მროველის რედაქტორობით შექმნილ ისტორიულ ნარკვევში „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“.

ქართული სასულიერო მწერლობის იმ ძეგლის გაცნობისას, რომელიც სათაურის მიხედვით, უფლის სადიდებლად მოღვაწე, კეთილმორწმუნე წმიდა ნინოს ცხოვრების აღწერის მიზნით შედგენილი ნაწარმოებია, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თხზულებაში ღმრთისმშობლის ხელით უნაკეროდ ნაქსოვ საუფლო კვართზე ეკლესიის დაარსების უწყებისას, მოულოდნელად, ტექსტის პროზაული სტილი და თხრობითი ლექსიკა იცვლება და მშენებარე ეკლესიის სივრცეში, სვეტის აღმართვის სიუჟეტის ამსახველი ინფორმაცია ანაზღეულად ლოცვაში რწმენით მთხოვნელთა

ზეცად აღქმული მოვლენის უწყებითაა გადმოცემული და თანაც მონათხრობის ლექსიკაც განსხვავებულია, რადგან თვალთ აღქმული ზეციური მოვლენა იგავური ენითაა გადმოცემული.

ეს რომ ასეა, და სვეტის აღმართვის სიუჟეტში აღწერილი მოვლენა ზეცად აღქმული უწყებისას წარმოჩენილი ინფორმაციის შესაბამისადაა თქმული, იქიდანაც ჩანს, თუ როგორ განუმარტავს ღმრთისმორჩილი ქალწული მასთან ერთად სვეტის აღმართვის დაუოკებელი სურვილით, ლოცვად დაყუდებულ დედაკაცებს იმას, რაც მათ გარშემო ხდება: „...ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე: და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს ჳმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არაგვ გარდამოჰცდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგვინანი. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს. ხოლო ნეტარი ნინო ღალადებდა: 'ნუ გეშინინ, დანო ჩემო, მთანი მუნვე ჰგინან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირული, დაეყენოს. ხოლო ჳმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგი თავსა თუსსა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით ძალითა მალლისათა და ჯუარითა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცვედით ღმრთისა მიმართ“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955, : 112-113] – ნიშანდობლივია, ლოცვაში ჩაძირულ დედაკაცთათვის ზეცად მიმდინარე მოვლენის განმარტების მიზნით, ღმრთისმოსავი ქალწულის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „'... სამართლად გეჩუენების...“ ანუ „მართებულად გეჩვენებათ“ იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ლოცვად დაყუდებული დედაკაცების თვალწინ განსახიერდა ერთი და იგულისხმება მეორე. ნათქვამის გათვალისწინებით უდავოა, წმინდა ნინოს დამონაფებული დედაკაცები დაუჯერებელ, ესე იგი არაბუნებრივ, არამინიერ მოვლენას ხედავენ.

სწორედ ამის გამო, რადგან ზეცად აღქმული მოვლენა არაჩვეულებრივია და ასეთი მოვლენის აღქმა განსაკუთრებულ ჭვრეტელობით უნარს მოითხოვს, ამიტომ ღმრთის მლოცველი ქალწულის მიერ ძნელად გასაცნობიერებელი ინფორმაციის ახსანა-განმარტებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ლოცვაში ჩაძირული დედაკაცების მიერ ზეცად აღქმული მოვლენა ხილვად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი დაკვირვების მართებულობის დასადასტურებლად კიდევ ერთ ადგილს დავიმონწმებ უფლის განუყოფელ კვართზე ეკლესიის

აგების ამსახველი სიუჟეტიდან: „ხოლო ვითარცა ცისკარი აღელე-ბოდა, და მიერულა ყოველთა მათ დედათა. ხოლო მე, სიდონია, მღუძარე ვიყავ“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 114]. ვინაიდან, დედათა დიაკონს დამონაფებულ, ლოცვაში რწმენით მთხოვნელ დედაკაცებს, კეთილმორწმუნე სიდონიას გარდა, თვალნი მილულ-ვიათ, თუმც, იმავდროულად, ღმრთისმსახურებისათვის აღვსილ დედაკაცთათვის თვალის მილულვის პერიოდში, ზეცად მიმდინარე მოვლენა ღმრთისმოშიში ქალწულისათვის და მის სულიერი დისათვის, სიდონიასათვის ხილულია, გამოდის, რომ დედათა დიაკონისათვის და კეთილმორწმუნე სიდონიასათვის იმიტომ არ შეწყვეტილა ზეცად მიმდინარე მოვლენის აღქმა, რადგანაც სხვა-თათვის თვალის მილულვის მომენტში ესენილა არიან სულიერად მღვიძარენი და ამდენად, ზეცად მიმდინარე მოვლენის აღქმის უნარი მართო მათლა შესწევთ.

ასეთ ვითარებაში, რამდენადაც ლოცვად დაყუდებულ დედაკაც-თა თვალის მილულვის შემდგომ, ლოცვაში რწმენით მთხოვნელმა დედაკაცებმა სხვებთან ერთად ისლა იხილეს, რაც საყოველთაოდ ყველამ იხილა: „ხოლო დედანი ვითარ იყვნეს კიდევ, იხილეს მათცა: სუეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხსა მას, მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძუსასა.“ – ესე იგი, სვეტის აღმართვის მომენტიდან, მიმდინარე მოვლენის თანმიმდევრული მონაცვლეობა, ცხოველი სვეტის ხარისხთან მიახლოვებამდე მლოცველი დედაკაცებისათვის უჩინარი იმიტომ გამხდარა, რაკილა ლოცვაში რწმენით მთხოვნელი დედაკაცები, როგორც ჩანს ღმრთისმორჩილ ქალწულთან და კეთილმორწმუნე სიდონიასთან შედარებით მცირედ მსასოებელნი გამოდგნენ, რატომაც გარკვეულ ეტაპზე სულიერად უღონონი აღმოჩენილან.

ასეთნაირად, ირკვევა, წმიდა ნინო შემდეგი სიტყვებით: „...სამარ-თლად გეჩუენების...“<sup>14</sup> იმიტომ განუმარტავდა ლოცვად დაყუდე-ბულ დედაკაცებს მზერით აღქმულ მოვლენას, რადგან მცირედ მორწმუნე დედაკაცებს სრულად ვერ გაუცნობიერებიათ ხილული უწყება.

მაშასადამე, რამდენადაც მოციქულთასწორის, ნინოს ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებში აღწერილ, ეკლესიის მშენებლობის ეპიზოდ-ში სვეტის აღმართვისას განხორციელებული ყოველივე ხილულის აღქმა და გაგება ყველას არ ძალუღს, ამდენად, ლოცვაში რწმენით მთხოვნელთა, მზერით აღქმული მოვლენა საღმრთო ხილვა უნდა იყოს, რომლის აღქმა და გაგების უნარი მხოლოდ მას შესწევს, ვი-საც სულიერი თვალით ღმრთის გამოცხადების შეცნობა ძალუღს.

შეგახსენებთ, საღმრთო ხილვა მხოლოდ მან შეიძლება იხილოს, ვისაც ღმერთი ამოირჩევს წინასწარმეტყველად. დიახ, წინასწარ-

მეტყველება ღმრთის განგებულებაა, გაცხადებული დამბადებლის მიერ ამორჩეული ადამიანის მეშვეობით. „რამეთუ არა ნებითა კაცთადათა მო-სადამენინა წინაღსწარმეტყულებად, არამედ წუევითა სულისა წმიდისადათა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი“ [III პეტრე, I,21].

მოგეხსენებათ, ღმრთის რჩეული სულიერი გასხვივონებისას ღმრთის ნებას სულით ჭვრეტს – „ხოლო ჩუენ ღმერთმან გამოგვცხადა სულისა მიერ თვისისა. რამეთუ სული ყოველსავე გამოეძიების და სიღრმესაცა ღმრთისასა“ [კორინთელთა მიმართ, II, 10]. იცით ალბათ, სულიერი ჭვრეტისას ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს აღემეტება აღტკინებულ ვითარებაში, სიტყვით სრულყოფილად გადმოსცეს ტრანსცენდენტური ღმრთის განგებულება და ამის გამოა, რომ საღმრთო გამოცხადების მხილველი, ექსტაზურ მდგომარეობაში, ძირითადად იგავური ენით მეტყველებს.

წინასწარ უნდა ითქვას: ცნობილია, ყოველი წინასწარმეტყველი მხოლოდ ნაწილობრივ ხედავს მომავალს, რომელიც კაცობრიობას მოულის და ამიტომ წინასწარმეტყველური ჭვრეტა ფრაგმენტული ხასიათისაა. ამის გამოა, რომ ერთი წინასწარმეტყველება ავსებს მეორეს.

ასეთიანრად, ქართველთა ქვეყანაში წმიდა წინოს თავდადებით უფლის კვართზე ეკლესიის მშენებლობის მაუწყებელი ინფორმაციის გადმოცემისას, თხზულების ენის თხრობითი სტილი მოულოდნელად იმიტომ იცვლება და აღნიშნული სიუჟეტი სიმბოლური ენის საშუალებით იმიტომაა თქმული, რომ სათქმელი, საღმრთო გამოცხადების მხილველის, კეთილმორწმუნე სიღონისა ექსტაზურ მდგომარეობაში აღქმული, უჩვეულო ცოდნის გადმოცემის თავისებურების შესატყვისადაა ნაუწყები.

ახლა კი, იგავური ენით მოთხრობილი, სიბრძნით შენიღბული ინფორმაციის განხილვამდე, მოდიოთ, გულდამშვიდებით, რაც შეიძლება მოკლედ გავიხსენოთ გამოუთქმელი სიკეთით აღვსილი ქალწულის ქართულენოვან სამყაროში მოღვაწეობის ამსახველი ამბები.

შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც უმანკო ქალწულის მშობლებმა გადაწყვიტეს თავიანთი ცხოვრება მთლიანად ღმრთისათვის მიეძღვნათ, მთელი ქონება გლახაკებს დაურიგეს, ხოლო თვითონ ერთადერთი თორმეტი წლის ქალიშვილი სომხეთის ქალაქ დვინიდან ბეთლემში იმიგრირებულ ძველი და ახალი რჯულის ზედმინევნით მცოდნე დედათა დიაკონს [ჩოლოყაშვილი, 2008 : 20-21], სარას მიაბარეს აღსაზრდელად.

ღმრთისმოსავი ქალწული რწმენის საკითხებზე ხშირად ესაუბრებოდა სარა დიაკონს. აღმზრდელთან საუბრისას ღმრთის

მლოცველი ქალწული გაიგებს თუ არა, რომ უფლის განუყოფელი კვართი გაქართველებულ ებრაელებს მცხეთაში მიუსვენებიათ, დაუყოვნებლივ გადაწყვეტს ქართველთა სამეფო ქალაქში – მცხეთაში წასვლას.

ამავ დროულად, უინტერესო არ უნდა იყოს იმის გახსენება, თუ როგორ მოხვდა უფლის განუყოფელი კვართი ქართულენოვან სამყაროში.

ღმრთისმოშიში ქალწულის ცხოვრების აღმწერი მეისტორიის მიერ შედგენილი თხზულების მიხედვით, იკვება, რომ იერუსალიმიდან, ებრაული თემის სასულიერო მოძღვარ ანას, აბიათარის უშუალო წინაპრისათვის, ელიოზისათვის მიუწერია: ის, რომელიც თავის თავს ღმრთის ძედ სახავს, უნდა გასამართლდეს, მოდით ყველანი სამსჯავროზე დასასწრებად, რათა აღსრულდეს მოსეს მცნებაო.

მოთხოვნისამებრ ქართულენოვანი სამყაროდან სამსჯავროზე დასასწრებად წასულან „...მეცნიერნი სჯულისანი...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 36]. კარსნიდან ლონგინოზი, ხოლო მცხეთიდან – ელიოზი.

იერუსალიმისაკენ მიმავალ ელიოზს დედამისი შეჰვედრებია: შვილო, ჩვენი სჯულის თანახმად მოწოდებისამებრ უნდა წახვიდე; ხოლო მათ განზრახვას ნუ შეუერთდები, ვინაიდან წინასწარმრტყველთა სიტყვის და ბრძენთა იგავების მიხედვით ცნობილია, რაც უნდა მოხდესო.

მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, მაცხოვრის ჯვარცმისას, მათ, რომელთაც ჯვარს აცვეს უფალი და მისი შესამოსელი გაიყვეს, კვართზე წილი ყარეს „და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რადთა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყვს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ [მათე, XXVII,35]. იმის გათვალისწინებით, რომ დავით წინასწარმეტყველის გაფრთხილების თანახმად განკაცებული ღმრთის კვართი არ განიყო – ცხადზე ცხადია, უფლის უნაკერო პერანგი ღმრთის ჩანაფიქრის შესაბამისად გარკვეული ნიშნით გამორჩეულს უნდა შეხვედროდა.

და, აი, მსხნელის განუყოფელი კვართი, უფლის ნებით იმ გამორჩეულს შეახვედრა განგებამ, რომელიც ქართველთა ქვეყნიდან იერუსალიმში, სინედრიონზე დასასწრებად დაიბარეს, ცხებულის საკითხის განსასჯელად, როგორც „...მეცნიერი სჯულისა...“ და რომელიც იესო ქრისტესთვის სასამართლო განხილვამდე, წინასწარ გამოტანილი განაჩენით [იოანე, XI, 47-53], სულით ხორცამდე

შედრული, მათ შორის იყო, ვინც მაცხოვარს თანაუგრძნობდა. დაბეჯითებით ძნელი სათქმელია, თუმც სავარაუდოა, ისრაელის ტომის გაქართველებულ ჩამომავალ, მცხეთელ ელიოზს, ღმრთისმშობლის ხელით უნაკეროდ ნაქსოვი უფლის კვართი განგების ძალამ იმიტომ არგუნა წილად, რადგან „მეცნიერმა სჯულისამ“ მარადიულ ჭეშმარიტებას უერთგულა. ღმრთის ნაბოძები კვართი უფლისა ელიოზმა შინ წაასვენა.

როდესაც ელიოზმა უფლის განუყოფელი სამოსელი მცხეთაში მიასვენა, მას ცრემლმორეული მისი და შეეგება, ძმას ყელზე მოეხვია, ჩამოართვა იესო ქრისტეს უნაკერო კვართი, სიხარულით მკერდში ჩაიკრა და მყისვე სული განუტევა. მიხვდით, ალბათ, რათა უფლის განუყოფელი კვართი სამუდამოდ ქართველთა ქვეყანაში დამარხულიყო, ღმერთმა იმქვეყნად წაიყვანა ელიოზის და. ასე რომ, ელიოზის დამ თავისი ცხოვრება ღმრთის სამსახურში დაასრულა.

ბარემ აქვე დავძენ, სულიწმიდის მაღლით შემოსილი ქალწულის ასეთი გადაწყვეტილება: ღმრთისმშობლის ხელით უნაკეროდ ნაქსოვ საუფლო კვართზე ააშენოს წმიდა ეკლესია, საფიქრებელია, ქრისტიანთა შორის საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისის გამოძახილი იყოს, რომელიც ძველი და ახალი რჯულის ზედმიწევნით მცოდნე სარა დიაკონის [ჩოლოყაშვილი, 2008 : 20-21] აღზრდილ ღმრთისმორჩილ ქალწულს უეჭველად ეცოდინებოდა და კეთილმორწმუნეობისათვის 258 წელს წამებული, კართაგენის ეპისკოპოსის, კვიპრიანე კართაგენელის განმარტებას ეფუძნებოდა – რომლის მიხედვითაც უფლის განუყოფელი კვართი ჭეშმარიტი, განუყოფელი ეკლესიის სიმბოლოდაა აღიარებული.

რალა თქმა უნდა, განკაცებული ღმრთის განუყოფელი კვართით III საუკუნის დასასრულისათვის და IV საუკუნის დასაწყისისათვის დაინტერესება, მაშინ, როდესაც ღმრთისმოსავი ქალწული წინო სარა დედათა დიაკონის ზედამხედველობით იზრდებოდა და მის თვალწინ წმიდა ეკლესიას უთვალავი ერეტიკული საკრებულოები დაუპირისპირდნენ, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ღმრთისმომიმ ქალწულს ქართველთა სამეფოში დაფლულ უფლის განუყოფელ კვართზე ჭეშმარიტი, განუყოფელი ეკლესიის დაფუძნება გადაუწყვეტია, რომელსაც ერეტიკოსები ვერ შეარყევენ, რადგან რწმენის კლდეზე აგებული ეკლესია მარადიულია „და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ [მათე, XVI,18].

ასეთნაირად, ადვილი მისახვედრია, სულიწმიდის მაღლით შემოსილ ქალწულს უფლის უნაკერო კვართზე ჭეშმარიტი, განუყოფელი ეკლესიის აგება დაუსახავს მიზნად.

გახდება თუ არა ცნობილი სარა დიაკონისათვის ღმრთის მლოცველი ქალწულის მიზანდასახულობა, გაემგზავროს ღმრთის-მშობლის ხელით უნაკეროდ ნაქსოვი, განუყოფელი საუფლო კვართის მოსაძიებლად, დიაკონი ქალი მყისვე გაემართება პატრიარქთან, მისი დისშვილის განზრახულობის გამო მოსათათბირებლად.

მემატიანის ცნობით, როდესაც სარა დიაკონი იერუსალიმის პატრიარქს მოახსენებს დისშვილის სურვილს, მისი უწმიდესობა გამოუთქმელი სიკეთით აღვსილი ქალწულის გადანყვეტილებას იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ღმრთისმოსავ ქალწულ ნინოს უყოყმანოდ დედათა დიაკონად აკურთხებს [ჩოლოყაშვილი, 2008 : 17-20].

და აი, ქართველთა მეფის, მირიანის ზეობის პერიოდში, უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილმდებარეობის გამოსაძიებლად, სამეფო ქალაქში – მცხეთაში მისული ღმრთისმოშიში ქალწული ხშირად დადიოდა ურიათა უბანში, კვართის სამარხავის თაობაზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

დროთა განმავლობაში ელიოზის დის სამარხის ადგილმდებარეობა ხალხს მიჰვიწყებია და ყოფილი ებრაული თემის სულიერ მოძღვარის, აბიათარის თქმით, მის დროს მხოლოდ ღმერთმაღა უწყოდა, თუ სად იყო დაფლული უფლის კვართი [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 98-100].

ჭეშმარიტი ეკლესიის ასაგებად შემართული დედათა დიაკონი ჰურიათ უბანში გამუდმებული სიარულისას დაუახლოვდა ებრაული თემის სულიერ მოძღვარ აბიათარს, მის ასულს და კიდევ ექვს ჰურია დედაკაცს, რომელთაც ღმრთისმოსავმა ქალწულმა უფლის სახარება უქადაგა და რომელნიც სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს დაემონაფნენ.

წმიდა ნინოსა და სიდონიას შორის იმდენად კეთილისმყოფელი ურთიერთობა დამყარებულა, რომ ღმრთის მლოცველი ქალწული კეთილმორწმუნე სიდონიას დად მოიხსენიებდა.

სიდონია იყო პალესტინიდან ლტოლვილი და ქართველთა სამეფო ქალაქში – მცხეთაში დასახლებული ძველალექსისეული იუდაიზმის მიმდევართა შთამომავალი, რომლის მამა, აბიათარი ებრაული თემის სულიერი მოძღვრის მოვალეობას ასრულებდა ქართველთა სამეფო ქალაქში არსებულ სინაგოგაში [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 95].

თავისთავად იგულისხმება, ვინაიდან, სიდონიას მამას – აბიათარს იუდეველთა თემის სულიერი მოძღვარის საპატიო ვალდებულება დააკისრეს, გამოდის, რომ აბიათარი წარმომავლობით ქოჭნი ყოფილა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აბიათარს

ებრაელი ხალხის მოძღვრად ვერავინ ვერც კი დაასახელებდა, რადგანაც ებრაული თემის სულიერი წინამძღოლობა, მხოლოდ და მხოლოდ ქოჰენების განსაკუთრებულ უფლებას განეკუთვნებოდა.

ნათქვამთან დაკავშირებით გვმართებს გავიხსენოთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ჩანერილი მონათხრობის თანახმად, სიღონიას მამა, აბიათარი მცხეთაში უფლის კვართის მიმსვენებლის – ელიოზის უშუალო შთამომავლად იხსენიებს თავის თავს: „...მოუწერა ანა მღვდელმან იერუსალემით მამის მამისა ჩემისა ელიოზის თანა ესრეთ, ვითარმედ: 'იგი, რომლისათჳს სპარსნი მეფენი ძღუნითა მოვიდეს, აღზრდილ არს იგი და ჰასაკსა საზომისა მიწვეულ არს, და თავსა თჳსსა ხადის ძედ ღმრთისად. მოვედით ყოველნი სიკუდილსა მისსა, რათა აღესრულოს მცნება მოსესი'. ნარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა ჩემი, კაცი მოხუცებული; და ესუა მას დედა ტომისაგან ელია მღვდელისა...“ [ქართლის ცხოვრება, 1955 : 98-99]. შეგახსენებთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი პერიოდის ამსახველ ტექსტში ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები „მამა“, „მამის ძმისწული“, „მამის დიდნული“... გარკვეულ შემთხვევებში ფართო მნიშვნელობითაც იხმარება, როდესაც „მამა“ ზოგადად წინაპარს – გვარის მამამთავარს აღნიშნავს [სანაძე, 2001 : 9]. მითუმეტეს: „მამის მამა“ უდავოდ, რამდენიმე თაობის უწინ მცხოვრებ სისხლით ნათესავ წინაპარს უნდა ნიშნავდეს [დაბაძე, XXXVII, 3; I მეფეთა, XII, 6; ...] .

გარდაუვალია იმის აღნიშვნა, რომ იუდევალთა ტრადიციის თანახმად, მამის საგვარეულო ხაზის მიხედვით, მარტოდმარტო ლევიანების და ქოჰენების წარმომავლობა განისაზღვრება.

ამასთანავე, ვინაიდან, სჯულის მეცნიერის, ელიოზის დედა ელი მღვდელმთავრის მოდგმას მიეკუთვნებოდა „...და ესუა მას დედა ტომისაგან ელია მღვდელისა...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 99], ელი მღვდელმთავარი კი, მართალი მსაჯული იყო [I მეფეთა, IV, 18], გამოდის, რომ ელი მღვდელმთავარი შთამომავლობით ასევე ქოჰენია, რადგან სხვა შემთხვევაში იგი მღვდელმთავრის საპატიო თანამდებობას ვერ დაიკავებდა. ასეთნაირად, ელი მღვდელმთავრის მოდგმას მიკუთვნებული ელიოზის დედა, რომლის შთამომავლობაც მატრიანეში მამაკაცის ხაზითაა წარმოჩენილი ასევე ქოჰენთა ჩამომავლობას უნდა განეკუთვნებოდეს. ნათელია, ქოჰენების ტომის წარმომადგენლის, ელი მღვდელმთავრის მოდგმას მიკუთვნებული ელიოზის დედა ქოჰენების გაქართველებული ჩამომავალი ყოფილა, არა მხოლოდ ხორციელად, არამედ, რადგანაც ისრაელიანი უმთავრესად რწმენით განისაზღვრება – „ხოლო არა ეგებოდა, ვითარმცა დავარდა სიტყუად ღმრთისად, რამეთუ არა ყოველნი



ისრაელისაგანნი ესენი არიან ისრაელ, არცა არიან ნათესავნი აბრაჰამისნი ყოველნი შვილ. არამედ ისააკისგან გენოდოს შენ ნათესავი. ესე იგი არს, არა შვილნი ჳორცთანი ესენი არიან შვილ ღმრთისა, არამედ შვილნი იგი ალთქუმისანი შერაცხილ არიან ნათესავად“ [რომაელთა მიმართ, IX,6-8] და რამდენადაც მაცხოვრის დაღურსმვისას, როდესაც სამსჭვალზე ურო დაჰკრეს, ელიოზის დედას მცხეთაში მოესმა უფლის ხმა, შეჰკვივლა და თქვა: „...‘მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმნენით მკლველ შემოქმედისა. ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა წინავე მოვკუედ, რათამცა არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა’...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 99], რა თქმა უნდა, ელიოზის დედა, რომელმაც გოლგოთას მთაზე მომხდარი ისრაელის მორალურ განადგურებად მიიჩნია, ღმერთთანაა და ამიტომ ის არის ჭეშმარიტი ისრაელიანი ანუ ალთქმის შვილი.

რამდენადაც აბიათარი უცილობლად ქოჰენების შთამომავალია და ის სჯულის მეცნიერ ელიოზს მამის ხაზით მიიჩნევს საკუთარ წინაპრად, გამოდის, რომ ელიოზიც ქოჰენის მოდგმას განეკუთვნებოდა.

ასე რომ, სიდონიას მამა, აბიათარი იმიტომაც წარმოაჩენს თავის თავს მამის საგვარეული ხაზით: „...მამის მამისა ჩემისა ელიოზის თანა ესრეთ...“ და იქვე: „...და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა ჩემი...“ – რადგანაც მისი, როგორც ებრაული თემის სულიერი მოძღვრის და ამდენად ქოჰენების წარმომავლობა მამის საგვარეული ხაზით გრძელდებოდა. შევთანხმდეთ, ქოჰენის მამის ხაზით წარმომავლობას სხვა ვერავინ დაიჩემებდა, რადგან ყასიდად ვერავინ მიეტმასნებოდა მოსეს ძმის არონიდან მომდინარე ქოჰენების შთამომავლობას, ვინაიდან, ებრაული თემი მკაცრად ადევნებდა თვალყურს ქორწინებისას არ დარღვეულიყო თორის კანონები. ამდენად, ცხადია, სიდონიას მამა აბიათარი ასევე ჭეშმარიტი ისრაელიანია.\*

ყოველივე თქმულის თანახმად უცილობელია, თუკი სოდონიას მამა, აბიათარი, ქოჰენია, მისი შვილი, სიდონიაც ქოჰენია. დიახ, მამის საგვარეულო ხაზის შესაბამისად წმიდა ნინოს სულიერი და, სიდონია წარმომავლობით უეჭველად ქოჰენია. ასეთნაირად, უდავოა, სიდონია ჭეშმარიტი ისრაელიანია.

საყოველთაო ცნობილია, ყოველი წინსწარმეტყველი მხოლოდ და მხოლოდ ისრაელის ტომიდან ამოიჩნია დამბადებელმა. და, აი კეთილმორწმუნე სიდონია სწორედაც იმ მოდგმას განეკუთვნება ღმერთი რომ ირჩევდა თავისი ხალხისათვის განსაკუთრებული ცოდნის საუნყებლად.

საგანგებოდ, იმასაც მოგაგონებთ, რომ მას შემდგომ, რაც ღმრთის მლოცველი ქალწულის მეცადინეობით მეფე მირიანმა ინამა ქრისტეს სწავლება და მისი უდიდებულესობა მაცხოვრის მსახურებისათვის განიმსჭვალა, ხელმწიფე უფლის სახლის ასაშენებლად იწყებს ზრუნვას.

სულიწმიდის მადლით შემოსილმა ქალწულმა, ქართველი ხალხის ღმერთთან წინამდგომ – მეფე მირიანს შთააგონა ეკლესია განკაცებული ღმრთის განუყოფელი კვართის დაფვლის სივრცეში აუშენებინა, იმ ადგილას, სადაც ღმრთისმოსავ ქალწულს უფლის უნაკერო კვართი ეგულება დაფლული.

მას შემდგომ, რაც მეფე წამოიწყებს ეკლესიის მშენებლობას, ტაძრის გამართვისას, სიდიდით ყველაზე დიდი სვეტის აღმართვას ძეხორციელი ვერ შეძლებს. მომხდართი ყველა გაოგნებულია.

მაშინ სვეტისაკენ დედათა დიაკონი გაემართება და მასთან ერთად მისი თორმეტი მოწაფე.

სვეტის აღმართვის მიზნით შემწეობის გამოსათხოვად, ღმრთისადმი აღვლენილი სავედრებელი ლოცვისას, ღმრთისმოშიში ქალწული მოვალეობის გრძნობით შემკრთალი, გულამოსკვნით ატირდება და მისი ცრემლები სვეტს დაედინება.

და, აი, ამ დროს უფლის მიერ მოხმობილი ქალწულის ერთგული მოწაფე სიდონია ფართოდ გახელილი სულიერი თვალით შემდეგს ხედავს: „...ვითარცა შუა ლამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე: და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს წმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არაგჯ გარდამოჴდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგვინვანი. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს. ხოლო ნეტარი ნინო ღალადებდა: 'ნუ გეშინინ, დანო ჩემო, მთანი მუნვე ჰგიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირული, დაეყენოს. ხოლო წმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგი თავსა თჯსსა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით ძალითა მალლისაჲთა და ჯუართა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ'. და მეყსეულად დასცხრეს წმანი იგი, და იყო არა რა.

და დადგა წმიდა ნინო, განეპყრნეს ჴელნი და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: 'რადთა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე'. კულად ვიდრე არა ეყვილა

ქათამსა სამთავე კართა ქალაქისათა, დასცა ზარსა ლაშქარ-  
მან ძლიერმან: დაღენწეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსთა  
ლაშქრითა; და შეიქმნა ჳმა ზარისსაჯდელი, ზრზინვა, და ყივილი, და  
კლვა. და აღივსო ყოველი ადგილი სისხლითა, და მოვიდა სიმრავლე  
ზახილითა და მახვლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს  
ჯორცნი და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა თუსთა.

და მსწრაფლ ისმოდა, ჳმობდეს რაჲ ძლიერად: ‘მეფე სპარსთა,  
მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ჰურია განარინეთ  
პირისაგან მახვლისა’. ესე რა მესმა, და მოვეგე თავისა ცნობასა;  
და შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახლებულ  
იყვნეს მახვლოსანნი გარემოს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.

და ისმა ჳმად ძლიერი – ‘მირიან მეფე შეიპყრესო’. გარე-მოიხილა  
მწენმან მოღუანემან და თქუა: ‘ესე რომელ ყივის, ვიცი რომელ ან  
სამე დიდად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი  
მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის  
ადგილისა დიდებისა’. და ნუგეშინის-გუცემდა, ვითარცა მოძღუარი  
წელოვანი, ჳემმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი.

მიექცა ერსა მას მომავალსა და ჰრქუა: ‘სადა არიან მეფენი  
სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხ-  
ვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლი-  
ერად დაღენეთ ქალაქი ესე, და მახვლი დაეცით, ქართა და ნიავთა  
წარგუალეთ ბნელით ჩრდილოეთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა,  
მოვიდა რომელსა თქუენ ევლტით’. და განძრა ჳელი ჯუარისსახედ  
და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი. და იქმნა დაყუდება  
დიდი, და დედანი იგი ჳნატრიდეს მას და აღდებდეს ღმერთსა.

ხოლო ვითარცა ცისკარი აღეღებოდა, და მიერულა ყოველთა  
მათ დედათა. ხოლო მე, სიდონია, მღუძარე ვიყავ. და იგი დგა ჳელ-  
გაპყრობით. აჰა ესერა, ზედა-მოადგა ჳაბუკი ერთი ნეტარსა მას,  
ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზენრითა,  
და ჰრქუა რაჲმე სამნი სიტყუანი. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა  
თუსსა, და ჳაბუკმან მან შეჰყო ჳელი სუეტსა მას და აღმართა და  
წაიღო სიმაღლესა შინა. და განკვრეებული მივეახლე მას და ვარქუ  
ესრეთ: ‘დედოფალო, რა არს ესე?’ ხოლო მან მრქუა: ‘მოიდრიკე  
თავი ქუეყანად’, და ტირილად იწყო ზარისა მისგან. და მცირედისა  
ჟამისა შემდგომად აღდგა და აღმადგინა და განვეშორენით მას  
ადგილსა. ხოლო დედანი ვითარ იყვნეს კიდე, იხილეს მათცა სუეტი  
იგი, ცეცხლისსახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად  
მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძუსასა“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955  
: 112-114].

ასე და ამრიგად, მას შემდგომ, რაც დედათა დიაკონის ლოცვა-  
ვედრება შესმენილ იქნა, ღმრთისმორჩილ ქალწულთან ერთად

მლოცველი, კეთილმორწმუნე სიღონია ზეცად აპყრობილი მზერისას შემდეგს ხედავს: შუალამისას ცისა და ქვეყნის შემქმნელის ნებით წარმართული ღვთაებების თაყვანისცემის ადგილები, არმაზისა და ზადენის მთები, ჩამოიქცა. მთების დაქცევამ მდინარეები – მტკვარი და არაგვი დააგუბა. ამ დროს დატბორილმა მტკვარმა გადმოხეთქა და წალეკა ქალაქი. იმავდროულად შეკავებული არაგვი ღვარად გადმოედინა ციხეს, რამაც შემზარავი გრგვინვა გამოიწვია. საშინელი ნგრევისას ისმოდა საზარელი მოთქმისა და გოდების ხმა. მტკვრისა და არაგვის გადმონახეთქმა წყალმა განასხნა ეშმაკნი და განაახლა მიდამო. ამავდროულად, ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა, მდინარეები, მტკვარი და არაგვი დაწყდა.

მეტსაც გეტყვით: უწყლო მიწა – უდაბნოა.

ასეთნაირად, განგების ძალით ღმრთის მლოცველ ქალწულთან ერთად სვეტთან დაყუდებული დედაკაცები უდაბნოში აღმოჩნდნენ. ღმრთის მლოცველი ქალწულის მოწაფეთაგან, სიღონიას გარდა, ყველას შეეშინდა და უდაბური ადგილიდან გაღწევას ლამობდნენ. გაოგნებულებს ღმრთისმოსავი ქალწული ევედრებოდა: ნუ გეშინიათ, დებო, მთები იქვე დგანან, წყლებიც იქვე მიედინებიან და ხალხსაც მშვიდად სძინავს. ხოლო ის, რომ, თითქოს მთები ჩამოიქცა, ამას თქვენი სულიერი თვალთ ხედავთ, რადგან ურწმუნოების მთები დაიქცა ქართლში და ასეთნაირად წყლების დაწყევლა კერპებისადმი შეწირული ყრმების სამსხვერპლო სისხლის შეჩერების ნიშანიაო. ხოლო ძლიერი გოდების ხმა, რომელიც თქვენ გესმით, ეშმაკთა მრავალრიცხოვნების მაუნყებელია, რომლებიც თავიანთ თავს გლოვობენ, რადგან უზენაესის ძალითა და ქრისტეს ჯვრით არმაზისა და ზადენის მთებიდან ძლეულნი არიან და გარბიან. დაბრუნდით და უფლისა მიმართ ილოცეთ.

ამ სიტყვების წარმოთქმისას მყისვე დაცხრა გოდების ხმა და სინყნარემ დაისადგურა.

ამრიგად, წარმართული კერპების თაყვანისცემის ადგილები – უცოდველი ყრმების სისხლით დამბალი არმაზის მთა და ცეცხლმსახურთა ზადენის მთა, რომლებიც კერპთაყვანისმცემელთა წარმოდგენით უძლეველ იყო „...იგი ადგილი უძლეველ არს...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 106], უზენაესის ძალით ჩამოიქცა, რის გამოისობითაც მრავალრიცხოვანი ეშმაკები არმაზისა და ზადენის მთებიდან ოტებულნი შეიქმნენ.

მარტივად წარმოსადგენია, მთების დაქცევისას დაგუბებული მდინარეების გადმონახეთქი წყლით განპირობებული ნგრევა, კეთილმორწმუნე მლოცველთ საღმრთო რისხვის გამოხატულებად ენიშნათ, რა დროსაც დაუსჯელი არავინ გადარჩება.

მოგეხსენებათ, მას შემდგომ, რაც ქვეყნის შემოქმედმა ქვეყნიერება შექმნა, სამყაროში მუდმივად მიმდინარეობს განახლება და ცვლილება „გაუშვებ შენს სულს – წარმოიქმნებიან და განახლებ პირს მიწისას“ [ფსალმუნი, CIII,30]. შეგახსენებთ, რომ მსგავს მოვლენას მოციქული პეტრეც წინასწარმეტყველებს „ხოლო მოწიოს დღე იგი უფლისაჲ, ვითარცა მპარავი ღამისაჲ, რომელსა შინა ცანი მძაფრიად წარწყდენ და წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ და ქუეყანაჲ და მას შინა საქმენი დაიწუნენ. რაჟამს ესე ყოველნი ესრეთ დაზულებოდინან, რაბამთაჲ ჯერ-არს თქუენი ყოფაჲ წმიდითა ქცევითა და კეთილითა მსახურებითა, რაჲთა მოელოდით, და ისწრაფდეთ მოსლვასა მას დღისა მის ღმრთისასა, რომელსა შინა ცანი მჭურვალენი დაიწყსენ და წესნი დაიწუნენ და დადნენ. ახალთა ცათა და ახალსა ქვეყანასა მსგავსად აღთქუმისა მისისა მოვლით, რომელსა შინა სიმართლე დამკვდრებულ არს“ [II პეტრე, III,10-13]. ამგვარად, ცოდვილი სამყარო კი არ განადგურდება, არამედ შეიცვლება. ასე რომ, ყველაფერი სამყაროს გარდაქმნით გასრულდება და მეორედ მოსვლა, რომელიც მოვლენათა მთელი სერიას, განკითხვის დღით დაგვირგვინდება. სწორედ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეკლესიის ყოველი წევრი აღთქმისამებრ მოველით ახალ ცას და ახალ ქვეყანას, რომელზეც სიმართლეა დამკვიდრებული.

ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ: მორწმუნეთათვის ჭეშმარიტი ეკლესია მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე უდაბნოსაა შეფარებული [გამოცხადება, XII,6, 14].

ახლა, როცა ცხადი გახდა, რომ კეთილმორწმუნე სიდონიას ხილვის შესაბამისად არმაზისა და ზადენის მთების დაქცევის სივრცეში – ღმრთის მლოცველი ქალწულის ლოცვა-ვედრებით მშენებარე ეკლესია უდაბნოში იგება, ნათელია, მცხეთაში მეორედ მოსვლის მომლოდინე ეკლესია შენდება.

მას შემდგომ, რაც დედათა დიაკონმა მთების დაქცევის ხილვით დაბნეულთ მიმართა, ხელები მალლა აღაპყრო და უფლის მიმართ დაიწყო ლოცვა, რათა მირიან მეფის მესვეურობით წამონყებულ ეკლესიის მშენებლობა არ შეფერხებულიყო.

მოგვიანებით, ვიდრე მამალი იყივლებდა, კეთილმორწმუნე სიდონია სრულად გახელილი სულიერი თვალთ ხედავს, რომ არმაზისა და ზადენის მთებიდან გამოდევნილი ეშმაკების დასახმარებლად მოსულმა სპარსელების ძლიერმა ლაშქარმა ქალაქის სამივე კართან შიშის ზარი დასცა – დუშმანმა დალენა სამივე კარები და ქალაქი სპარსული ჯარით გაიგსო. სპარსელები ხოცავდნენ ხალხს, ისმოდა შიშის მომგვრელი ქვითინი და ყვირილი, ყოველ ადგილას სისხლი იღვრებოდა.

ადვილი მისახვედრია, მშენებარე ეკლესიის ადგილის დასაპატრონებლად მოსულ ქალაქის ამაოხრებელ ბოროტ სულებს კეთილმორწმუნე სიდონია სპარსელებად მოიხსენიებს [დანიელ წინასწარმეტყველი X,13].

და, აი, ამ დროს, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის მიერ ეკლესიის ასაგებად აღვლენილი ლოცვისას, მშენებარე ეკლესიის შემოგარენში მოვიდნენ „მახვილოსნები“ – „და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახულითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჴორცნი და განილია სული მათი...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 113].

ტექსტში ნაუწყები ზახილითა და მახვილით მოსულთა იდენტიფიცირების მიზნით, საყურადღებოა, თუ როგორ მიმართავს მაცხოვრის სადიდებლად შემართული წმიდა ნინო მისკენ მიმავალ საბასტანიდან მოსულ ლაშქარს „...‘სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა? საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალენეთ ქალაქი ესე, და მახული დაეცით ქართა და ნიავთა’.“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 113-114], როგორც ხედავთ, დამონმებული კითხვითი, ზმნიზედიანი – უარყოფითი წინადადების დასაწყისი იმას გვაუწყებს, რომ ღმრთისმოში ქალწული აღფრთოვანებულია, რადგან საბასტანიდან (ესე იგი – საბას სამეფოდან) მოსულთა წყალობით მისი მხედველობის არეალში სპარსელი მეფეები აღარსად ჩანან, რაც ქალაქში სპარსული ლაშქრის არ არსებობასთანაა გაიგივებული და განაგრძობს: საბას სამეფოდან გუშინ წამოსულები მალე მოხვედით, ძლიერი ლაშქარი ხართ, ღონივრად დალენეთ ბოროტი სულების მიერ აოხრებული ქალაქი და მახვილი დაეცით ქართა და ნიავთა.

ამგვარად, თუკი ბოროტმა სულებმა ქალაქის კარებების დალენვით შეაღწიეს ქალაქში, საბასტანიდან მოსულმა მხედრობამ ბოროტი სულებისაგან წაწყმედილი ქალაქის დალენვით, გაანადგურეს ბოროტი სულების ადგილსამყოფელი.

აქვე გადავუხვევ სათქმელს და ჩავურთავ, საბას სამეფო ეთიოპიელთა სამკვიდროა. „მოვიდენ მოციქულნი ეგუპტით, ჰინდოეთმან უსწროს ჴელისა მიცემად ღმრთისა“ [ფსალმუნნი, LXVII, 32]. საყოველთაოდ ცნობილია, ფსალმუნის ქართულ ვერსიაში მოხსენიებული ჰინდოეთი ეთიოპიას შეესაბამება. ასე რომ, საბასტანიდან წამოსული მებრძოლები ეთიოპიდან მოსულან.

დავუბრუნდეთ განსახილველ საკითხს. დააკვირდით, ვინაიდან საბასტანიდან მახვილებით მოსულთა გამოსობით მშენებარე ეკლესიის შემოგარენში სპარსელები აღარ ბოგინობენ, გამოდის,

რომ საბას სამეფოდან მოსული ლაშქარი სპარსელებისადმი დაპირისპირებულ მებრძოლებს წარმოადგენენ. ასეთნაირად, ნათლად გამოიკვეთა – საბასტანიდან მოსული მახვილოსნები სხვები არიან; ხოლო სპარსელები სხვები. თავისთავად ცხადია, სხვადასხვა ქვეყნიდან – ერთ შემთხვევაში სპარსეთიდან და მეორე შემთხვევაში საბას სამეფოდან მოსული მოლაშქრენი სხვადასხვა მხედრობას უნდა წარმოადგენდნენ.

სპარსელები და მახვილოსნები უდავოდ ურთიერთ დაპირისპირებული მხარეს რომ წარმოადგენენ, ამას სპარსელთა მეფის მოწოდებაც უნდა მოწმობდეს: „... 'ყოველი ჰურია განარიდეთ პირისაგან მახვილისა'.“ – საცნაურია, ვინაიდან მახვილები ხელთ მახვილოსნანთ უპყრიათ, ამდენად სპარსეთის მეფის მოწოდება მახვილოსნების მოქმედების აღსაკვეთადაა ნაბრძანები – ჰურიიდან ქართულენოვან სამყაროში იმიგრირებული ებრაელების მიმხრობის მიზნით, რათა ბოროტმა სულებმა ქრისტეს მიმდევრებთან კონფესიურად დაპირისპირებული ჰურიებიც გამოიყენონ მსხნელის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამგვარად, არ უნდა იყოს გასაკვირი, თუკი წინადადებაში: „და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახვლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჯორცნი და განილია სული მათი...“ ზახილითა და მახვილებით მოხსენიებულ მოლაშქრეებს გამაფრთხილებელი ინფორმაციის განმარტებისას მახვილოსნებად მოვიხსენიებ.

ახლა კი, უფრო დანვრისებით უნდა შევჩერდეთ იმის თაობაზე თუ რა იხილა და განიცადა კეთილმორწმუნე სიდონიამ, როდესაც სპარსელი მეფის განკარგულება მოესმა.

სპარსელთა მეფის ბრძანებულების: „... 'ყოველი ჰურია განარიდეთ პირისაგან მახვილისა'.“ მოსმენის შემდგომ – იგონებს სიდონია, როდესაც გონს მოვეგე და მოსმენილი გავაცნობიერე, მეც და ჩემთან ერთად ლოცვაში ჩაძირული ათივე დედაკაცი შევეჭვდით, შესძლებდნენ კი მახვილოსნები ჰურიებით გაძლიერებული არმაზისა და ზადენის მთებიდან გამოდევნილი ეშმაკებისა და ქალაქის ამოხრებული სპარსელების დამარცხებას? ამ დროს ლოცვაში რწმენით მთხოვნილი დედაკაცები იმის იმედადღა იყვნენ, რომ მახვილოსნები არმაზისა და ზადენის მთებიდან ოტებული, ცოცხლად დარჩენილი ეშმაკებისა და სპარსელების ხოცვით უახლოვდებოდნენ მათ ადგილსამყოფელს.

ნათქვამთან დაკავშირებით, უსათუოდ უნდა გავიხსენოთ, თუკი იმჟამად, როდესაც უფლის ტაძრის მშენებლობის მოსაშლელად, სპარსელთა ლაშქრის ქალაქში შეჭრისას, ისმოდა შემზარავი ქვითინი, ყვირილი და ყოველ ადგილას სისხლი იღვრებოდა, „...ალივსო

ქალაქი სპარსთა ლაშქრითა. და შეიქმნა ჳმა ზარისსაჯდელი, ზრზინვაჲ, და ყივილი, და კლვაჲ. და აღიგსო ყოველი ადგილი სისხლითა.“, ამის საწინააღმდეგოდ, იმხანად, როდესაც წმიდა ნინოს სულიერმა დამ, სიდონიამ იხილა ის, რაც იხილა : „...მოახლებულ იყვნეს მახვლოსანნი გარემოჲს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.“ – მაშინ, ლოცვად დაყუდებული სიდონია, რომელიც იმჟამად ხორციელი სიცოცხლის დასასრულისა და მარადიულ არსებობაში გადასვლის განცდით იყო მოცული, მახვილებით შეჭურვილების მიერ განხორციელებულ ხოცვა-ჟლეტას სრული სიმშვიდით აღიქვამს, რამდენადაც, როგორც ჩანს მისთვის ხილული მოვლენა შემზარავ ქმედებად არ არის აღქმული.

წმიდა ნინოს სულიერი დის ასეთი პოზიცია ნათლად წარმოაჩენს, რომ მოციქულთასწორს დამონაფებული სიდონია მახვილოსნების საქციელს მართებულად მიიჩნევს, რადგან კარგად უწყის, რომ ვინც კი მახვილს აიღებს ღმრთის განგებულების საწინააღმდეგოდ, მახვილითვე უნდა განიგმიროს, „რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახვლი, მახვლითა წარწყმდენ“ [მათე, XXVI, 52]. დიახ, ღმრთის სადიდებლად მახვილის აღმართვა მართლებულადაა მოჩნეული „რომელი მახვლითა ჯერ-არს მისი მოკვლავ, მახვლითა თვისთა მოიკლას აქა არს მოთმინებაჲ და საწმუნოებაჲ წმიდათაჲ“ [გამოცხადება, XIII, 10]. დაგვრჩენია აღვიშნოთ, ბოროტ სულებზე მახვილის აპყრობა შურისძიებითაა გამართლებული, რადგან ღმრთის მსახური, რისხვით შურისმაძიებელია ბოროტმოქმედზე.

ცხადია, ჭეშმარიტების სარტყელშემორტყმულ, ღმრთისადმი გულმოდგინედ მლოცველ დედაკაცებს გაცილებით დიდ ცოდვად მიაჩნიათ ის, რომ ბოროტმა სულებმა თავიანთ საწადელს მიაღწიონ, ვიდრე მახვილოსნებმა ხოცონ ზაკვითა და მანკიერებით აღსავსე ბოროტი სულები.

ყოველივე თქმულის შემდგომ მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ მახვილოსნები ეკლესიის მშენებლობის მოსაშლელად მომქმედი არმაზისა და ზადენის მთებიდან გამოდევნილი ეშმაკებისა და სპარსელებისაგან განსხვავებით უფლის სადიდებლად შემართულ მოლაშქრეებს წარმოადგენენ.

აშკარაა, მახვილებით შეჭურვილი მახვილოსნები სპარსელები-სადმი დაპირისპირებულ, მაცხოვრის ერთგულ მსახურთ განასახიერებენ.

ასეთნაირად, მახვილოსნები სწორედაც ისინი არიან, რომლებიც საბას სამეფოდან მოვიდნენ ლომისებური ღრიალითა და მახვილებით მშენებარე ეკლესიის სივრციდან ბოროტი სულების გასადევნად. ამგვარად, „სხვებში“ იგულისხმებიან მახვილოსნებისაგან



განსხვავებულნი – არმაზისა და ზადენის მთებიდან გამოდევნილი ეშმაკები და ქალაქის ამოხრებელი სპარსელები, რომელთაც მახვილოსანთა შიშით ხორცი ადნებოდათ და სული სძვრებოდათ, თანაც სულთმობრძავნი თავიანთ ნათესავებს ტიროდნენ.

ასე და ამრიგად, თვალნათლივ წარმოჩნდა, სულიწმიდის შთაგონებით დაწერილი წინასწარმეტყველება „...ჰინდოეთმან უსწროს ჳელისა მიცემად ღმრთისა...“, რომელსაც სასოებით ისმენს ყოველი ქრისტიანი, ქართულ სამყაროში უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილას, ეკლესიის მშენებლობისას აღსრულებულა.

ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ზეცაში ბოროტი სულების გამანადგურებელი, მახვილებით შეჭურვილი მებრძოლები უფლის მხედრობას ანუ ცაათა მხედრობას უნდა გაანასახიერებდნენ „ერთხელაც, როცა იერიხონთან იყო იესო, გაიხედა და დაინახა მის წინ მდგარი კაცი, რომელსაც ხელში გაშიშვლებული მახვილი ეჭირა. მივიდა მასთან იესო და ჰკითხა: მტერი ხარ თუ მოყვარე? მიუგო: არა, უფლის მხედრობის თავი ვარ. ახლა მოვედი“ [იესო ნავეს ძე, V, 13-14]. საცნაურია უფლის კვართზე მშენებარე ეკლესიის შემოგარენის დასაცავად მებრძოლ ცაათა მხედრობას კეთილმორწმუნე სიდონია მახვილოსნებად მოიხსენიებს.

ასე და ამრიგად, იმ ადგილას, სადაც უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწული ეკლესიის ასაგებად ლოცვას აღავლენს, იმავე სივრცეში საბას სამეფოდან მოდიან ღმრთის მადიდებელი „მახვილოსნები“ მშენებარე ეკლესიის შემოგარენიდან ავი სულების გასადევნად.

ერთია კიდევ: ვინაიდან, ღმრთის სადიდებლად შემართულ მახვილოსანთა ბრძოლის პერიპეტებს სიდონიასთან ერთად ათი დედაკაცილა აღიქვამს, მაშასადამე, ცაში გამართულ ომს დედათა დიაკონის თორმეტ მონაფეთაგან თერთმეტილა ადევნებს თვალს. მიხვდით, ალბათ, ამასობაში ღმრთისმოშიში ქალწულის თორმეტი მონაფიდან ერთ-ერთს აღარ შესწევს სულიერი სიფხიზლე და ჩასძინება.

მოულოდნელად ისმის ხმა: „...’მირიან მეფე შეიპყრესო’...“. ნათელია, არმაზისა და ზადენის მთებიდან გამოდევნილმა ეშმაკებმა და განადგურების პირას მყოფმა სპარსელებმა მისი უდიდებულესობის მიერ ქრისტეს აღიარება, მეფის შეპყრობად მიიჩნიეს, რადგან, ამიერიდან, ქაჯებისთვის მირიან მეფე ქრისტეს პატიმარია, ანუ ტყვე – „ამისათვის მე, პავლე, ქრისტეს პატიმარი თქვენთვის, წარმართებისათვის“ [ეფს. III, 1] ( ამასთანავე იხილეთ: ეფს. IV, 1; VI, 20; კოლ. IV, 3, 18; ფილიპ. I, 7, 13, 17; ფილიმონ. 9, 13 ).

„...’მირიან მეფე შეიპყრესო’...“ შეძახილის გაგონებაზე ღმრთის-მოსავმა ქალწულმა მიმოიხედა და თქვა: ვიცი, ვინც ამ სიტყვებს იძახის, ამჟამად ძალიან უჭირსო. იმავდროულად სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული მადლობას სწირავდა ღმერთს და გარშემო მყოფთ განუმარტავდა, რომ წამოძახილი: „...’მირიან მეფე შეიპყრესო’...“ ავი სულების დაღუპვის, ქართველთა ქვეყნის მარადიული არსებობის და უფლის კვართის დაფვლის ადგილის დიდების მაცნეო „...’ესე რომელ ყოვის, ვიცი, რომელ ან სამე დი-დად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დიდებისაჲ !’...“.

იმავდროულად, მოციქულთასწორის მიერ ქართველთა ქვეყნის დიდებისა და მარადიული არსებობის მაჟნყებელი ღმრთის ჩანაფიქრის შეცნობის ჟამს, კეთილმორწმუნე სიდონია სულიერი თვალთ ხედავს, რომ ღმრთისმორჩილი ქალწული მიუბრუნდა მისკენ მიმავალ, საბას სამეფოდან მოსულ მახვილოსანთა ლაშქარს, რომელთაც სპარსელებისაგან გაანთავისუფლეს ქალაქი და ღმრთის სადიდებლად შემართულ მებრძოლეს, აღფრთოვანებუ-ლი, შემდეგნაირად მიმართავს: „...’სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალენეთ ქალაქი ესე, და მახვილი დაეციეთ ქართა და ნიავთა.“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 113-114]. ამრიგად, არანაირად არ არის მოულოდ-ნელი, რომ ქალაქში სპარსული ლაშქრის არარსებობით აღტა-ცებული და მახვილოსნების ძლევამოსილებით ზეშთაგონებული სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული, ღმრთის სადიდებლად შემართულ საბას სამეფოდან მოსულ მეომრებს მადლიერების გამომხატველი სიტყვებით მიმართავს: საბას სამეფოდან მალე მოხვედით და ძლიერი ლაშქარი ხართ, ღმრთისად დალენეთ არმა-ზისა და ზადენის მთებიდან გამოდევნილი ეშმაკებისა და მათ დასახმარებლად მოსული სპარსელების მიერ აოხრებული ქალაქი და მახვილი დაეციეთ ქართა და ნიავთა.

რამდენადაც, მახვილით ქარისა და ნიავის გაფანტვა-გაქრობა ღმრთის მომგვრელია, ხოლო ახლად გამოჩენილი მახვილი ქარსა და ნიავეში მხოლოდ იწრთობა, ცხადია, არმაზისა და ზადენის მთე-ბიდან გამოდევნილი ეშმაკებისა და მათ დასახმარებლად მოსული სპარსელების გასანადგურებლად ამხედრებული მახვილოსნების მისამართით წარმოთქმული სიტყვები: „...’მახვილი დაეციეთ ქართა და ნიავთა.“ იმას უნდა გვამცნობდეს, რომ „ქართა და ნიავთა“ ანუ ატმოსფერული მოვლენის, ნიავექარის – ესე იგი გრიგალის [აბუ-

ლაძე, 1973 : 328] თაყვანისმცემელ წარმართებს დასცა მახვილი ცათა მხედრობამ [ჩოლოყაშვილი, 1988 : 14-16].

კვლავ მივუბრუნდეთ ღმრთისმოსავი ქალწულის მიერ წარმოთქმულ მიმართვას. ნათელია, ვინაიდან, მშენებარე ეკლესიის სივრცეში სპარსელები აღარ არიან, ასეთ შემთხვევაში, საბას სამეფოდან მოსული მახვილოსნებისადმი წმიდა ნინოს ნათქვამი: „...სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალენეთ ქალაქი ესე, და მახული დაეცით ქართა და ნიავთა, წარგუაღეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“ იმის წარმოსაჩენად გამოდგება, რომ მოციქულთასწორის მონოღება „... წარგუაღეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა, აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“ ეხებათ არა ბოროტი სულელების განმასახიერებელ სპარსელებს, არამედ მცხეთის შემოგარენში დაქცეული მთებიდან ოტებულ ეშმაკებს.

გადავუხვევ სათქმელს და აქვე შევნიშნავ, რომ მონოღებაში: „წარგუაღეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“ კედარის სამყოფელი გააზრებულია, როგორც ბნელით მოცული ადგილი, რომელსაც სარწმუნოებრივი ნათელი არ სწვევია [სურგულაძე, 2006 : 90].

ამასთან ერთად, საგულისხმოა ის, რომ ღმრთისმომში ქალწულის წარმონათქვამში „...აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“ – უშუალოდ ის, ვინც მოვიდა და რომელსაც ეშმაკები გაურბიან მხოლობით რიცხვში მოიხსენიება. გამოდის, რომ ციტირებული სიტყვები დედათა დიაკონს რომელიღაც ერთი პირის მოსვლის ხილვისას წარმოუთქვამს, მათ გასაგონად, რომელთაც ბოროტი არ მოსწყინდათ და იმ რომელიღაც ერთის მოსვლით მრავალრიცხოვანი ეშმაკები იმდენად ყოფილან თავიანთი უძღურებით თავზარდაცემულნი, რომ იძულებულნი გამხდარან, უფლის კვართზე მშენებარე ეკლესიის არემარე მიეტოვებინათ და გაქცეულიყვნენ. ასეთნაირად, ღმრთისმორჩილი ქალწული მცხეთის შემოგარენში დაქცეული მთებიდან გამოდევნილ ეშმაკებს, რომლებიც ვისიმე ერთის მოსვლის გამო შეძრწუნებულნი გარბიან, მოუწოდებს: წავიდნენ ჩრდილოეთის მხარის ბნელით მოცული მთებისაკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბნელეთში მყოფი ეშმაკები ისევ წყვედადისაკენ უნდა წავიდნენ, ვინაიდან, მათი ადგილი ბნელეთის მოციქულთა სამყოფელია „... წარგუაღეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“.

გამოდის, რომ ცაში გამართული მახვილოსანთა გამარჯვებით დამთავრებული ომის შემდგომ, სულიწმიდის მადლით შე-

მოსილმა ქალწულმა მცხეთის შემოგარენში დაქცეული მთებიდან გამოდევნილ ეშმაკებს, რომლებიც უფლის კვართზე ეკლესიის მშენებლობას ეწინააღმდეგებიან, ასე მიმართა: აჰა მოვიდა რომლსაც თქვენ გაუბრძობათ! – „...აჰა, მოვიდა რომელსაც თქვენ ევლტით!“<sup>44</sup>. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდგომ ღმრთისმოსავმა ქალწულმა „განძრა ჳელი ჯუარის სახედ და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი“<sup>45</sup>. ნათელია, რამდენადაც ლოცვა და ჯვარი ავი სულების ძლევის იარაღია, ამდენად, ლოცვისას ჯვარის გამოსახვით მოციქულთაწნორმა წინომ მშენებარე ეკლესიის სივრციდან ბოროტი სულების ოტება ყო.

მაშ ასე: ცაში გამართული გადამწყვეტი ბრძოლა ბოროტ სულებსა და ქრისტეს ერთგულთა შორის ღმრთის მადიდებელთა გამარჯვებით დაგვირგვინდა.

დარწმუნებული ვარ, მიხვდით, ღმრთის მადიდებლების შენენით ბოროტი ძალების განდევნისას ბნელეთის გაფანტვით განათდა ქალაქი. ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ: „და ქალაქსა მას არა უჴმს მზე, ანუ მთოვარე მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმრთისამან განანათლა იგი, და სანთელ მისა არს კრავი იგი“ [გამოცხადება, XXI, 23].

იმავედროულად სვეტთან დაყუდებული, ლოცვაში რწმენით მთხოვნელი დედაკაცები ადიდებენ ღმერთს და შენატრიან სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის სიდიადეს.

დედათა დიაკონი კვლავ ხელუბაპყრობილი განაგრძობს ლოცვას.

განთიადისას, ღმრთისმომში ქალწულს დამონაფებულთ, სიდონიას გარდა, სულიერი თვალი მიელულათ და ჩაეძინათ. მხოლოდ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული და ერთადერთი მისი მონაფეთაგანი, კეთილმორწმუნე სიდონიალა ფხიზლობენ.

და, აი, კეთილმორწმუნე სიდონია ცხადად ხედავს, რომ ლოცვისას ღმრთისმორჩილ ქალწულს ზეციდან თავს დაადგება ნათლით შემკობილი, ცეცხლის ზენარში გახვეული ჭაბუკი, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა ღმრთისმომში ქალწულს. დედათა დიაკონი შიშისაგან მიწაზე დაემხოზა, ხოლო ჭაბუკი ხელს შეახებს სვეტს, მაღლა ასწევს და ზეცისაკენ წაიღებს. „...აჰა ესერა, ზედ მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლით შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზენრითა, და ჰრქუა რადმე სამნი სიტყუანი. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თუსსა, და ჭაბუკმან მან მიყო ჳელი სუეტსა მას და აღამალლა და წაილო სიმალლესა შინა.“ ადვილად წარმოსადგენია, ხმა ცეცხლიდან ესმოდათ ეკლესიის ასაგებად ლოცვაში ჩადირულ წმიდა წინოსა და მის გამორჩეულ მონაფეთაგანს, სიდონიას. გამოდის, რომ „ნათლით შემკობილი“ და იმავედროულად „ცეცხლის

ზენრით“ წარმოსახული ნათება, არა ფიზიკური, არამედ შეუქმნელი ცეცხლის განსახიერებაა. ამრიგად, უდავოა, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულისათვის სამი სიტყვის მთქმელი, შეუქმნელ, ზეციურ ცეცხლში გახვეული წარმოჩენილა ცის კამარაზე.

შეგახსენებთ, ცეცხლიდან მხოლოდ უფალი ელაპარაკება თავისსავე რჩეულთ – „პირისპირ გელაპარაკებოდათ უფალი მთაზე ცეცხლის შუაგულიდან“ [მეორე რჯული, V, 4], ასევე, „გელაპარაკებოდათ უფალი ცეცხლიდან. ლაპარაკის ხმა კი გესმოდათ, მაგრამ სახეს ვერ ხედავდით, მხოლოდ ხმა ისმოდა“ [მეორე რჯული, IV, 12]. უდავოა, შეუქმნელ, ზეციური ცეცხლიდან მოლაპარაკე, სამი სიტყვის მთქმელი უფალია ჩვენი. ასე რომ, ნათლით შემკობილი ჭაბუკის სახით ღმრთისმოსავ ქალწულს მაცხოვარი გამოსცხადებდა – „რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ“ [მათე, XXIV, 27].

მაშასადამე, მოციქულთასწორ ნინოს ღმერთი დაელაპარაკა. იმავდროულად, კეთილმორწმუნე სიდონიას, რომელსაც ღმრთის ხმა ესმის, უფალი ხილვით შთააგონებს საღმრთო ჩანაფიქრს.

როგორც უფლის მიერ მოხმობილი ქალწულის ერთგული მოწაფის სიდონიას მონათხრობიდან ირკვევა, როდესაც ზეცად მიმდინარე მოვლენის ხილვისას სიდონიას ჩაესმა ის ნათქვამი, რომლითაც ღმრთისმოშიშმა ქალწულმა ღმრთის მოძულეებს მიმართა: „... წარგუაღეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“; იმ დროს ცხადში დედათა დიაკონს თავს ზეციდან ნათლით შემკობილი ჭაბუკი წამოადგა, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს.

სამი სიტყვის მოსმენისას ღმრთის მლოცველი ქალწული შიშისაგან მიწაზე დაემხო, ხოლო ჭაბუკი ხელს შეახებს სვეტს, მალლა ასწევს და ზეცისაკენ წაიღებს. ამ დროს მომხდართ ალფრთოვანებული კეთილმორწმუნე სიდონია ღმრთისმორჩილ ქალწულს რიტორიკული შეკითხვით მიმართავს: „... 'დედოფალო, რა არს ესე?'...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 114]. მიუხედავად იმისა, რომ კითხვა-პასუხის დრო არ არის, მოციქულად წარგზავნილი ქალწული მიუგებს: „... 'მოიდრიკე თავი ქვეყნად'...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 114] და შიშისაგან ატირდება.

ვფიქრობთ, ნათლით შემკობილი ჭაბუკის მიერ თქმულ სამი სიტყვას უნდა ამჟღავნებდეს დედათა დიაკონის მიერ უფლის კვართზე ეკლესიის აგების მოწინააღმდეგეებისადმი მიმართვისას წარმოთქმული სიტყვები: „... 'აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ

ევლტით!“ ვინაიდან ღმრთისმორჩილი ქალწულის ნათქვამი შინაარსობრივად მოლოდინის აღსრულებით გამოწვეული სასიხარულო უწყების შემცველი მიმართვაა, ამდენად, სამი სიტყვით აღთქმა უნდა იყოს გადმოცემული, რომლის აღსრულება სიხარულით ამცნო დედათა დიაკონმა გარშემო მყოფთ. შეგახსენებთ, სამი სიტყვისაგან შემდგარი აღთქმა თავის დროზე იესო ქრისტემ წარმოთქვა: „აჰა, მოვალ ადრე.“ [გამოცხადება, III, 11; XXII, 12]. მაშასადამე, ნათლით შემკობილ ჭაბუკს ღმრთისმოსავი ქალწულისთვის უთქვამს იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმული აღთქმა, რომელიც სწორედ სამი სიტყვისაგან შედგება: „აჰა, მოვალ ადრე.“ ასეთნაირად, უცილობელია, თვალშეუდგამი, ნათლით შემკობილი ჭაბუკის სახით მოციქულთასწორ ნინოს მხსნელი გამოსცხადებია.

ბარემ აქვე დავძენ, წინადადებაში: „აჰა, მოვალ ადრე.“ სიტყვა „ადრე“ მხსნელის უეცრად მოსვლაზე მიგვანიშნებს.

გამოდის, რომ წმიდა ნინოს წარმონათქვამი: „...აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“ ღმრთის მოძულეებს ამცნობს, რომ იესო ქრისტეს აღთქმა: „აჰა, მოვალ ადრე.“ აღსრულდა. ნათქვამთან დაკავშირებით, უსათუოდ უნდა გავიხსენოთ, ქრისტეს მეორედ მოსვლის მომლოდინეებმა, რომელნიც სასოებით მოელიან უფლის მეორედ მოსვლას, რანაირად უპასუხეს მხსნელის აღთქმას: „და სული და სძალი იტყუან: მოვიდოდე! და რომელსა ესმას, თქუნ: მოვიდოდე! და რომელსა სწყუროდის, მოვიდოდენ, რომელსა ჰნებავს მიღებად წყლისა მის ცხოველისა უსასყიდლოდ“ [გამოცხადება, XXII, 17].

ასე რომ, მხსნელის გამოცხადებისას სიბნელის გაფანტვით ნათელი გამობრწყინდა და ამნაირად საღმრთო სულიერებამ მოიცვა ქალაქი მცხეთა.

ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, მას შემდგომ, რაც გაირკვა, რომ ღმრთის მლოცველ ქალწულს მაცხოვარი გამოსცხადებია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, იმ დროს, როდესაც კეთილმორწმუნე სიდონიას ჩაესმა ის სიტყვები, რომლითაც მოციქულთასწორმა ღმრთის მოძულეებს მიმართა: „...წარგუაღეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მათათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“; მაშინ, სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს და მის სულიერ დას, სიდონიას მხსნელის გამოცხადება უხილავთ. ნათქვამი რომ თვალსაჩინო იყოს, განვმარტავ: ღმრთის-მომში ქალწული და მისი სულიერი დას, სიდონია ერთდროულად ხედავენ, როგორც მომავალ დროში მხსნელის მეორად მოსვლას, ისე აწმყო დროში მაცხოვრის შეწევნით ცხოველი სვეტის აღმართვას. ასეთნაირად, მშენებარე ეკლესიის სივრცეში ცხებულის გა-

მოცხადებისას, ორ სამყაროს შორის მიჯნის წარხოცვისას, მოციქულთასწორმა ნინომ და კეთილმორწმუნე სიდონიამ ერთდროულად ორივე სამყაროს სულიერი ჭვრეტისას იხილეს ზეცად მიმდინარე მოვლენა, რომელიც იმავდროულად დედამინაზეც ხორციელდებოდა. გამაფრთხილებელ ინფორმაციაში ასახული ზეციური და მიწიერი სამყაროს ერთდროული აღქმა, ამდაგვარი, განუწყვეტელი შვეული კავშირი, მხოლოდ სულიერი ჭვრეტის მაღლით შეიძლება იქნეს აღქმული. სახელდობრ, ასეთი ხილვა მარტოოდენ წინასწარმეტყველთ უხილავთ. და, აი, მაგალითებიც: დანიელ წინასწარმეტყველი – VII, 8-14 ; X, 12-20 ; გამოცხადება – IV, X, XII- XIV. დაგვრჩენია აღვიშნოთ, ზეცად ხილული მოვლენის ადამიანისეული აღქმა, მხოლოდ ღმრთივსულიერი ზეშთაგონებითაა შესაძლებელი.

ასეთნაირად, იესო ქრისტეს გამოცხადების ხილვისას, მოწოდება: „...აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“ დედათა დიაკონმა მაშინ წარმოთქვა, რა დროსაც მცხეთის შემოგარენში დაქცეული მთებიდან ოტებული ეშმაკები ვისიმე ერთის, ანუ იესო ქრისტეს ზეგარდმომონიჭებულ წყალობას გაურბოდნენ და ამიტომ წმიდა ნინომ ბნელეთის მოციქულებს მოუწოდა: წავიდნენ ჩრდილოეთისაკენ არსებული ბნელით მოფენილი მთებისაკენ, რადგან მათი ადგილი ბნელით დაფარული სამყოფელია.

ამგვარად, ხილვისას, როდესაც კეთილმორქმუნე სიდონიამ ღმრთისმოსავი ქალწულის წარმოთქმული სიტყვები მოისმინა: „...სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალენეთ ქალაქი ესე, და მახული დაეცით ქართა და ნიავთა, წარგუალეთ ბნელით ჩრდილოეთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“ მაშინ გამუდმებით სულიერად მღვიძარმა, ღმერთთან შუამავალმა ნინომ და მისმა სულიერმა დამ, სიდონიამ მომავალი მოვლენა, მაცხოვრის მეორედ მოსვლა, როგორც სინამდვილეში მომხდარი ისე იხილეს და მსხნელის ხილვით შეძრულმა მოციქულთასწორმა ღმრთის მოძულეებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „...აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით!“.

დააკვირდით, ვინაიდან ღმრთისმოშიში ქალწული მომავალზე აწმყო დროში საუბრობს, მამასადამე, მშენებარე ეკლესიის შემოგარენში ღმერთი გამოვლინდა და ამდენად, მცხეთაში საღმრთო სრულყოფილება დამყარდა. რამდენადაც საღმრთო სრულყოფილება უცვლელია, ამიტომ იქ, სადაც არ არის ცვალებადობა, დროზე საუბარი უაზრობაა. ასე და ამრიგად, დედათა დიაკონი ღმრთის მადიდებლებს აწმყო დროში მომავალზე ელაპარაკება.

ცხადზე უცხადესია, კეთილმორწმუნე სიდონიას მიერ ზეცად აღქმული მოვლენის ამსახველ ტექსტში დრო შემოკლდა. ერთი შეხედვით, ასეთი უცნაურობა იმით აიხსნება, რომ უფლის შეწევნით მომადლებული სულიერი ჭვრეტისას, ღმრთის ნების აღქმის უნარით დაჯილდოებული დროის მიღმა და ამიტომ დროის ხანგრძლივობას ვერ ათვისებობიერებს.

სწორედ ამიტომაც, რადგან სულიერი ჭვრეტისას ადამიანი დროს ვერ შეიგრძნობს, მაშინ, როდესაც სულიწმიდის მადლით შემოსილმა ნინომ და მისმა სულიერმა დამ, სიდონიამ უფლის მეორედ მოსვლა იხილეს და იმავდროულად სვეტის აღმართვისას იესო ქრისტემ სამი სიტყვით „აჰა, მოვალ ადრე.“ მეორედ მოსვლის მომლოდინენი ანუგეშა – უფლის გამოცხადების ამდაგვარი აღქმით იმდაგვარი მოვლენა წარმოისახება ჩვენს თვალწინ, რა დროსაც ცხებულისათვის მომავალი, ანმყო და წარსული პირობითობას წარმოადგენს, ვინაიდან ღმრთისათვის დრო არ არსებობს და ყოველივე ერთი დიადი ანმყოა. დიახ, უფალი ერთდროულად ყველგან მყოფია, რამდენადაც ღმერთი მარადიულია, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. „მე ვარ ანი და ზ, იტყვს უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ [გამოცხადება, I, 8].

ნათელია, ზეცად მიმდინარე მოვლენის ხილვისას, კეთილმორწმუნე სიდონია დროის ხანგრძლივობას ვერ აღიქვამს, რადგან სულიერი ჭვრეტისას ადამიანი დროის პერსპექტივის აღქმას მოკლებულია.

მამ ასე: ნათლით შემკობილი ჭაბუკის სახით ღმრთის მლოცველ ქალწულსა და მის სულიერ დას იესო ქრისტე გამოსცხადებია.

უდავოა, ღმრთისმორჩილი ქალწული და კეთილმორწმუნე სიდონია ცხებულის მეორედ მოსვლის ხილვის ღირსნი ამქვეყნადვე გამხდარან.

დარწმუნებული ვარ, მიხვდით, მხსნელის გამოცხადების დროს წმიდა ნინომ და მისმა სულიერმა დამ, სიდონიამ ღმრთის დიდება იხილეს.

ამგვარად, იესო ქრისტეს გამოცხადების სასიხარულო მოვლენამ ისეთი ზემოქმედება მოახდინა ღმრთისმოსავ ქალწულზე, რომ დედათა დიაკონი მიწაზე დაემხო, ამ დროს კი უფალმა ხელი შეახო სვეტს, მაღლა ასწია, ზეცისაკენ წაიღო და საღმრთო ძალით ზეციდან ცეცხლის სახით დაუშვა.

ეჭვი არ არის, უფლის განუყოფელ კვართზე ეკლესია ღმრთის შეწევნით შენდება.

ვიდრე მსჯელობას განვაგრძობდეთ, გადავუხვევ სათქმელს და ჩავურთავ – შემთხვევითობას არ უნდა მიეწერებოდეს ის ამბავი,



რომ ღმერთისმოშიში ქალწულის ლოცვით, ანგელოზის მიერ სვეტის ზეცად აღმართვისას, უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულის ერთგული მოწაფე სიდონია დედათა დიაკონს დედოფლის ეპითეტით მიმართავს: „... 'დედოფალო რა არს ესე?'...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 114]. საინტერესოა, რომ ასევე მოიხსენიებს წმიდანს სვეტის ხარისხზე დამყარების შემდეგ სვეტიცხოვლის მადლით შვილის განკურნების მოიმედე დედა: „... 'მოხედენ, დედოფალო, ძესა ამას ჩემსა...'...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 : 115]. სვეტიცხოვლის ძალით განკურნებული ყრმაც ამგვარადვე მიმართავს სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს: „... 'ჰე, დედოფალო, მრწამს იესუ ქრისტე, მკსნელი დაბადებულთაჲ'...“ [მოქც. ქართ., 1963 : 143]. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ღმერთისმორჩილ ქალწულს დედოფლის ეპითეტიტ სხვა შემთხვევებშიც მხოლოდ მისი ლოცვით სვეტის სასწაულებრივი აღმართვის შემდეგ მიმართავენ.

მოგეხსენებათ, ქართულ ენაზე მეტყველთათვის დედოფალი ეწოდება მეფის ცოლს, ანდა ქალს, საქორწინო გვირგვინის კურთხევისას.

თქმა არ უნდა, ქალწულობის ალთქმის ერთგული, ღმერთთან შუამავალი წინო, რომელსაც მეფე თავის სულიერ დედად მოიხსენიებს („... 'სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი'...“ [მოქც. მირიან მეფისა, 1955 ; 110] ), უდავოდ მექორწილე დედოფალია.

დიახ, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქალწულობის ალთქმა ქორწილთანაა დაკავშირებული.

თავისთავად ცხადია, ქორწილი სიყვარულის ზეიმია, ხოლო ვინაიდან ღმერთი სიყვარულია, ამდენად ქორწილი ღმერთის დღესასწაულია ადამიანში.

მოგეხსენებათ, ქალწულობის ალთქმა სხეულის ღმერთთან ინტეგრაციით საღმრთო ძალის თაყვანისცემას მოასწავებს. ასე რომ, დიაცი, რომელმაც თავისი ქალწულობა უფალს მიუძღვნა, იდეალური მორწმუნეა.

ამასთანავე გაგახსენებთ: რელიგიური ქალწულობის არსი ეკლესიის ერთგულებაა.

ასეთნაირად, ნათელია, დედათა დიაკონი, მისთვის დამახასიათებელი იდეალური რწმენის გამო, იმდენად სრულყოფილ არსებადაა აღიარებული, რომ ქრისტეს სძალს განასახიერებს,

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტეს სძალი ხორცშესხმული ეკლესიაა.

და ერთია კიდევ: ქრისტეს სძალი ბრძენი ქალწულია და მეორედ მოსვლის მომლოდინე ეკლესიის განსხეულებაა.

მაშასადამე, დედოფლის ეპითეტით მოხსენიებული მოციქულთასწორი ნინო უფლის სძლად შერაცხული დედოფალია.

ცხადზე უცხადესია, რადგან ბრძენი ქალწულის ლოცვის შემწეობით სვეტის სასწაულებრივი აღმართვისას ღმრთის მლოცველ ქალწულს, რომელმაც უბინობის აღთქმით ღმერთს მიუძღვნა თავი, იესო ქრისტე გამოეცხადა და სხვები კი იმავდროულად დედოფლის ეპითეტით მიმართავენ, ესე იგი ზეცაში კრავის ქორწილია, რამდენადაც მცხეთაში მოღვაწე ქრისტეს სძალმა უფლისადმი კეთილმსახურებით თავი გაიმზადა „ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ და მივსცეთ მას დიდებად, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისად, და ცოლმან მისმან განმზადა თავი თუსი“ [გამოცხადება, XIX, 7].

აშკარაა, მაშინ, როდესაც დედათა დიაკონს უფალი გამოეცხადა და სამი სიტყვა უთხრა, ბრძენი ქალწული მიხვდა, რომ ზეცაში მისი ქორწილი გაიმართა კრავთან, ვინაიდან მან უფლისადმი კეთილმსახურებით საკუთარი თავი მსხნელისათვის გაიმზადა და შიშისაგან მიწაზე დაემხო.

კიდევ ერთხელ დავძენ, ამ დროს ღმრთისმოსავმა ქალწულმა და კეთილმორწმუნე სიღონიამ იხილეს მომავალი მოვლენა, როგორც სინამდვილეში მომხდარი.

დიახ, წინასწარმეტყველებში წარსული და მომავალი კარგავენ ხანგრძლივობას მარადიულის წინაშე.

მოგეხსენებათ, ქრისტეს სძალი იმავდროულად ახალი იერუსალიმი: „და მოვიდა ერთი მუდთა მათ ანგელოზთაგანი, რომელთა იგი აქუნდეს მუდნი იგი ლანკნანი, სავსენი წყლულებათა მათ უკუანაფსკნელთა, და იტყოდა ჩემ თანა და მრქუა მე: მოვედ, და გიჩუენო შენ დედაკაცი იგი, სძალი კრავისად. და წარმიყვანა მე სულითა მათასა მალალსა და დიდსა და მიჩუენა მე ქალაქი წმიდად იერუსალემი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან“ [გამოცხადება, XXI, 9-10]. რა თქმა უნდა, იქ, სადაც არმაზისა და ზადენის მთების დაქვევით დედამიწა გარდაიქმნა და ცოდვებისაგან წახდენილი ძველი ქვეყნის განწმენდილი ელემენტებისაგან ახალი ქვეყანა შეიქმნა, ახალი იერუსალიმი გადმოდის. „და ვიხილე ცაჲ ახალი და ქვეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი ქუეყანაჲ წარწყდეს, და ზღუად არღარა არს. და ქალაქი იგი წმიდად იერუსალემი ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებული, ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თუსისა“ [გამოცხადება, XXI, 1-2]. დიახ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრავის სძალი ახალი იერუსალიმი.

ეჭვს გარეშეა, მაშინ, როდესაც კრავის ქორწილის ხილვისას ქრისტეს სძალი მიწაზე დაემხო, იმავდროულად მას ზეციდან გადმომავალი ახალი იერუსალიმის ჩვენება მიეცა.

როგორც უკვე აღინიშნა, ახალი იერუსალიმი კრავის სძალია [გამოცხადება, XXI, 9-10], თანაც ქრისტეს სძალი ეკლესიაა [ეფესელთა მიმართ, V, 25-32].

უეჭველია, ვინაიდან, ქრისტეს სძალი ახალ იერუსალიმში კი არ იმყოფება, არამედ თვით კრავის სძალია ახალი იერუსალიმი, ცხადია, რომ ახალი იერუსალიმი წმიდა ეკლესიაა.

მაშასადამე, ახალი იერუსალიმი შეუმცდარი, ჭეშმარიტი ეკლესიის საუფლოა.

და ერთია კიდევ – ახალი იერუსალიმი დედამიწაზეა, ვინაიდან იოანემ იხილა, თუ როგორ ჩამოდიოდა ახალი იერუსალიმი ციდან, ღმრთისაგან „და წარმიყვანა მე სულითა მთასა მაღალსა და დიდსა და მიწუნა მე ქალაქი წმიდაჲ იერუსალემი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან“ [გამოცხადება, XXI, 10].

დიახ, ახალი იერუსალიმი უფლის განუყოფელ კვართზე მშენებარე ეკლესიის ნიაღში გადმოდის, რომლის სამწყსოც იერუსალიმის ფრთებქვეშ დგომით ჭეშმარიტი სარწმუნოების სამსახურში დგას.

აშკარაა: ამ კონტექსტში ახალი იერუსალიმი ქართულენოვანი ეკლესიაა.

ამის თქმისას, ცხადია, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი იერუსალიმი ღმერთთან შეხვედრის ადგილია. დიახ, ახალი იერუსალიმი ის ადგილია, სადაც მეორედ მოსვლისას უფალი მოვა და უკანასკნელი სამსჯავრო გაიმართება.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო: ვინაიდან, უფლის განუყოფელ კვართზე ცხოველი სვეტის აღმართვისას მშენებარე ეკლესიის სივრცეში მაცხოვრის ყოფნით ქალაქი ღმერთმა მოიცვა, ამნაირად მცხეთაში აღარ არსებობს ზღვარი ორ სამყაროს შორის.

მამ ასე, მცხეთა – წმიდა ქალაქია და მეორედ მოსვლისას მხსნელი ამ ქალაქში მოვა.

მცირე ხნის შემდეგ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული წამოდგება, წამოაყენებს კეთილმორწმუნე სიღონიას და ორივენი გაშორდებიან საღმრთო სასწაულის გამოვლინების ადგილს. ხოლო, იმ დედაკაცებმა, რომლებიც დედათა დიაკონთან ერთად სვეტთან იყვნენ დაყუდებულები და სულიერი თვალი მიელულათ, მხოლოდ ზეციდან ცეცხლის სახედ დაშვებული ცხოველი სვეტი იხილეს, რომელიც უახლოვდებოდა თავისსავე საფუძველს.

გამოდის, რომ ცისა და ქვეყნის გამგებლის ჩანაფიქრის შესაბამისად, ნათლით შემკობილი ჭაბუკის მიერ ცის ტატნობზე ატანილი სვეტი, ღმრთის ნებით, თავისსავე საფუძველს ცეცხლოვან სვეტად დაემყარა. ცხადზე ცხადია, იმავდროულად ცეცხლოვანმა სვეტმა მშენებარე ეკლესიის სივრცე უწმინდურებისაგან განწმინდა: „და

აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანისასა და გარემოადგეს ბანაკსა წმიდათასა და ქალაქსა მას შეეყარებულსა. და გარდამოჭდა ცეცხლი ზეცით და შეჭამნა იგინი“ [გამოცხადება, XX, 9]. ასეთნაირად, ღმრთის გამოგზავნილი ცეცხლის ძალით მშენებარე ეკლესიის სივრცე განიწმინდა.

მიხვდით ალბათ, იმუამად, როდესაც ზეციდან ცეცხლის სახედ დაშვებული სვეტი, კაცთაგან ხელის შეუხებლად თავისსავე საფუძველს დაემყარა, მაშინ ცეცხლოვანი სვეტის სახით, უფალმა, ღმრთის გაფრთხილება საღმრთო ნიშნით დაადასტურა. შეგახსენებთ, თუ რა უთხრა უფალმა მეფე ახაზს, როდესაც ხელმწიფემ ღმრთის ჩანაფიქრი არ ირწმუნა: „მოსთხოვე უფალს, შენს ღმერთს, შენთვის ნიშანი დაბლა ქვესკნელიდან ან მაღლა ზესკნელიდან“ [ესაია, VII, II], დაახ, ცოველი სვეტით ღმერთმა ქართულენოვანი ეკლესიის მრევლს მიანიშნა, თუკი ისინი ღმრთის მორჩილებაში იქნებიან, მისი გადაწყვეტილება, რომელიც მან დედათა დიაკონს გამოუცხადა და სიდონიამ იხილა, არ შეიცვლება.

როგორც გაირკვა, ზეცად ხილული მოვლენის ადამიანისეული აღქმა, მხოლოდ ღმრთივსულიერი ზემთაგონებითაა შესაძლებელი.

ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, ნათლად წარმოჩნდა, სულიერი ჭვრეტისას, გამაფრთხილებელი ინფორმაციის მაუნყებელმა კეთილმორწმუნე სიდონიამ წმიდა ნინოსთან ერთად იხილა ზეცად მიმდინარე მოვლენა, რომელიც იმავდროულად ამქვეყნადაც ხორციელდებოდა, რა დროსაც სულიერი თვალთ ხილული მოვლენის აღქმისას დრო შემოკლდა.

უდავოა, მოციქულთასწორი ნინო და მისი სულიერი და, სიდონია ხილვის მომენტში ერთდროულად ზეციურ და ქვეყნიურ სამყაროში დროის მიღმა იმყოფებიან.

რალა ბევრი გავაგრძელო, ის რაც კეთილმორწმუნე სიდონიამ იხილა, მარტოოდენ ღმრთივმიმადლებული სულიერი ჭვრეტისას შეიძლებოდა აღექვა ადამიანს და ვინაიდან, მსგავსი ხილვა მარტოოდენ წინასწარმეტყველებების ავტორთ უხილავთ, ცხადია სიდონია წინასწარმეტყველად განუწესებია გამჩენს.

აუცილებელია დავაზუსტოთ: გამაფრთხილებელი ინფორმაციის მაუნყებელ ქმნილებაში კეთილმორწმუნე სიდონიას მონათხრობი როგორიცაა, იმიტომაც იმგვარი, რადგანაც სულიერი თვალთ მხილველისათვის, მოვლენა არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ სულიერი ჭვრეტისას მიღებული ინფორმაციის შესაბამისად ვითარდება (მაგალითად: თავდაპირველ ეპიზოდში „...მტკვარმა გადამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი...“ მომდევნო ეპიზოდში „...კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამთავე კართა ქალაქისათა,

დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან: დალენნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა...“).

ამიტომაც, რომ დროის კოორდინირება წინასწარმეტყველებებში ხშირად შეუძლებელია.

ეს რომ მართლაც ასეა და ქართულენოვანი ეკლესიის გამაფრთხილებელი ინფორმაცია წინასწარმეტყველებაა, ამაზე ისიც მტყვევლებს, რომ გამაფრთხილებელი ინფორმაცია იგავური ანუ ალევგორიული ენითაა გადმოცემული, ისევე, როგორც სულიერი ჭვრეტისას, ექსტაზურ მდგომარეობაში ხილული ინფორმაცია წინასწარმეტყველთა მიერ იგავურ-ალევგორიული ანუ ფენომენალური ენითაა მოთხრობილი წინასწარმეტყველებებში.

ის უჩვეულო მოვლენა, რომ მოციქულთასწორის სულიერი დის, სიდონიას გამაფრთხილებული ინფორმაცია, რომელიც ქართველთა ქვეყნის დიდებისა და მარადიული არსებობის მაუწყებელია, გასაოცარდ მწყობრ თანხვედრაშია, სრულიად სხვადასხვა ავტორების მიერ, სრულიად განსხვავებულ ეპოქებში დაწერილ წინასწარმეტყველებებში მოცემულ განზრახულობასთან და ის რომ ბიბლიური წინასწარმეტყველებები სასწაულებრივად ერთ განუყოფელ, სრულყოფილ თანხმობაშია კეთილმორწმუნე სიდონიას ნაამბობთან, იმის დასტურად გვესახება, რომ სიდონიას წინასწარმეტყველებაც უდავოდ ღმრთის შთაგონებითა შექმნილი.

ამასთანავე, აღვნიშნავ, ვინაიდან სიდონიას ხილვა წინასწარმეტყველური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტია, ამდენად საღმრთო გამოცხადების გადამწერთ, შეუძლებელია, ტექსტში ცვლილებები შეეტანათ „მიმართეთ რჯულსა და ანდერძს! თუ არ ამბობენ ამ სიტყვის მიხედვით, ნათქვამს არა აქვს აზრი“ [ესაია წინასწარმეტყველი, VIII, 20], რადგან საღმრთო ჭეშმარიტება მხოლოდ განდობილთა გასაფრთხილებლად იწერებოდა და ამიტომ გადამწერნი ზრუნავდნენ, დაფარული სიბრძნის მაცხოვრებელი სიტყვა არ წაეხდინათ, რათა სიბრძნით შენიღბული ტექსტი შეურყვნელად გადაეცათ თაობებისათვის. მითუმეტეს, რომ წმიდა ქალაქის წარმომჩენი წინასწარმეტყველების გადამწერ ღმრთისმსახურს გათვითცნობიერებული ექნებოდა, რომ საღმრთო გამოცხადებაში სიტყვის შეცვლის შემთხვევაში წმიდა ქალაქიდან იქნებოდა გაძევებული: „ვწამებ მე ყოვლისა მიმართ, რომელსა ესმოდიან სიტყუანი წინაღწარმეტყუელებისა ამის წიგნისანი: უკუეთუ ვინ შესძინოს ამათ ზედა, შესძინენ ღმერთმან მის ზედა წყლულებანი იგი, რომელ წერილ არიან ამას წიგნსა. და უკუეთუ ვინ მოაკლოს სიტყუათა წიგნისა ამის წინაღწარმეტყუელებისათა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი ძელისა მისგან ცხორებისა და ქალაქისა

მისგან წმიდისა, რომელ წერილ არიან ამას წიგნსა“ [გამოცხადება, XXII, 18-19].\*\*

მთავარი ის არის, რომ სიბრძნით შენიღბულ ნაწარმოებში ჩანერილი სიდონიას მიერ ღმრთის დიდების ხილვა უეჭველია, თვით ღმრთის დიდების უშუალოდ მნახველის სიცოცხლეშივე უნდა იყოს დაწერილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვათა გადმოცემის მიხედვით აღწერილ ხილვას ეკლესიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან არა თვითმხილველის მონაყოლის მიხედვით მოთხრობილი ღმრთის დიდების უწყება საღმრთო ხილვა აღარ არის და ღმრთის ბოძებულ გამაფრხილებელ ინფორმაციასთან საერთო აღარაფერი ექნება.

ამ თვალსაზრისით თუ დავაკვირდებით სიბრძნით შენიღბულ ტექსტს, მკითხველი ადვილად შეამჩნევს: კეთილმორწმუნე სიდონია გამაფრთხილებელ ინფორმაციას პირველ პირში გადმოგვცემს.

უცილობელი ფაქტია, ღმრთის დიდების ხილვას სიდონია წინასწარმეტყველი პირველი პირით ლაპარაკობს, რაც იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, რომ ღმრთის დიდების უწყება პირადად სიდონია წინასწარმეტყველის მიერ უნდა იყოს ნაუწყები „და მსწრაფლ ისმოდა, ვმობდეს რაა ძლიერად: ‘მეფე სპარსთაა, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ჰურიაა განარინეთ პირისაგან მახჯლისა. ესე რაა მესმა, და მოვეგე თავისა ცნობასა, და შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახლებულ იყვნეს მახჯლოსანნი გარემოჲს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.“; „...ისმა ვმა ძლიერი – ‘მირიან მეფე შეიპყრესო“; „და განკურვებული მივებლეთ მას და ვარქუ ესრეთ: ‘დედოფალო, რა არს ესე?’ ხოლო მან მრქუა: ‘მოიდრიკე თავი ქუეყანად’ და ტირილად იწყო ზარისა მისგან.“

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კეთილმორწმუნე სიდონიას სულიერი თვალით ხილული ღმრთის ნების მაუწყებელი წინასწარმეტყველება სიდონიას ამ ქვეყნად მოღვაწეობის პერიოდში უნდა იყოს ჩანერილი.

რაკილა სიდონია წინასწარმეტყველი დედათა დიაკონის თანამედროვეა, ხოლო მოციქულთასწორ ნინოს მცხეთაში მოღვაწეობა ქართველთა მეფის, მირიანისა და ბიზანტიის დედოფლის, ელენეს ქრისტეს სადიდებლად მოქმედების პარალელურად მიმდინარეობდა, დედოფალი ელენე კი ახალი წელთაღრიცხვით 328 თუ 329 წელს აღესრულა [Drijvers, 1992 : 73-76], ამდენად საფიქრებელია, რომ კეთილმორწმუნე სიდონიას მიერ ღმრთის დიდების ხილვა IV საუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარ ამბად მივიჩნიოთ და ასეთნაირად, ღმრთის დიდების ხილვისას გაცხადებული ინფორმაცია სიდონია წინასწარმეტყველს იმავე პერიოდში, IV საუკუნის პირველ მეო-

თხედში უნდა განეცხადებინა გამაფრთხილებელი ინფორმაციით დაინტერესებულთათვის.

მაშასადამე, სიდონია წინასწარმეტყველის მიერ ღმრთის დიდების ხილვა წმიდა ნინოს ქართველთა ქვეყანაში მოღვაწეობის თანადროულად – IV საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა იყოს დაწერილი.

სიდონიას მიერ ხილული მოვლენის არსის ამოცნობის შემდგომ ნათელი ხდება, რომ დედათა დიაკონის სულიერი დის – კეთილმორწმუნე სიდონიას მონათხრობი, ღმრთის ნების მაუწყებელი წინასწარმეტყველებაა.

მოგესხენებათ, წინასწარმეტყველებები განიყოფებიან ძველი და ახალი აღთქმის წინასწარმეტყველებებად.

საზოგადოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, ახალი აღთქმის წინასწარმეტყველთ მიეკუთვნებიან იოანე ნათლისმცემელი და იოანე ღმრთისმეტყველი. ამასთანავე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავდაპირველ ეკლესიებში ღმრთის მადლის წყალობით მოღვაწეობდნენ წინასწარმეტყველები, რომელთაც მამა ზეციერმა საღმრთო გამოცხადების შეცნობის უნარი უბოძა „და რომელნიმე დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა პირველად მოციქულნი, მეორედ წინასწარმეტყუელნი...“ [I კორინთელთა XII, 28; ასევე: ეფესელთა მიმართ IV, 11]. მაგალითად: ანტიოქიის ეკლესიის წინასწარმეტყველები იყვნენ: ბარნაბა – იესოს სამოცდაათ მოწაფეთაგანი, სიმონ ნიგერი (ესე იგი: სიმონ შავკანიანი), ლუკიოს კვირონელი, მანანინი და სავლე [საქმე მოციქულთა, XIII, 1]. იმავდროულად წინასწარმეტყველებდნენ აგაბოსი, იუდა და სილა [საქმე მოციქულთა, XI, 27-28; XXI, 10; XV, 32]. ამასთანავე, ახალი აღთქმის თანახმად დედაკაცებიც წინასწარმეტყველებდნენ [I კორინთელთა მიერ, XI, 5]. მართლაც, დიაკონ ფილიპე მახარებლის ოთხივე ქალიშვილი კორინთაში წინასწარმეტყველებდა [საქმე მოციქულთა, XXI, 8-9]. ასეთნაიად, ქართულენოვანი ეკლესიის წიაღში მოღვაწე კეთილმორწმუნე სიდონია ახალი აღთქმის ისეთსავე წინასწარმეტყველთა რიცხვს უნდა მიეკუთვნებოდეს, როგორიც იყვნენ თავდაპირველი ეკლესიის წინასწარმეტყველები.

ცხადია, მხსნელის მეორედ მოსვლის მაუწყებელი გამაფრთხილებელი ინფორმაცია ახალი აღთქმის წინასწარმეტყველებაა. ამის თქმისას, იმის გათვალისწინებაც გვმართებს, რომ ქართულენოვანი ეკლესიის წინასწარმეტყველების გავრცელებით ქართველთა ქვეყანაში დასრულდა მისნობის პერიოდი.

ერთი რამ ცხადია: დედათა დიაკონის და კეთილმორწმუნე სიდონიას ხილვისას წარმოჩენილი გაფრთხილება იმის დასტურად

უნდა მივიჩნიოთ, რომ ღმერთი იმედით შეჰყურებს ქართულენოვანი ეკლესიის სამწყსოს და სწორედ ამიტომაც, სიდონიას წინასწარმეტყველებით უფალმა ქართველი ერის რჩეულთ საღმრთო ცოდნა უბოძა, რათა ქართულენოვანი ეკლესიის მრევლმა მართებულად განსაზღვროს საკუთარი მომავალი.

მას ასე, სიდონიას წინასწარმეტყველებით ღმერთმა გვამცნო, თუ რა უნდა ვიცოდეთ ქართველი ერის მომავალი ცხოვრების შესახებ.

იყოს ნება ღმრთისა!

და, აი, ისიც – სავარაუდოდ, შეურყვნელად დაცული, IV საუკუნის პირველ მეოთხედში დაწერილი, ქართულენოვანი ეკლესიის მრევლთაგანის, სიდონიას წინასწარმეტყველება:

1. [აღშენებისათვის ეკლესიისა მეფემან] მეყუსეულად მოიღო ძალი და ასწავებდა ხუროთა, და მოჰკუთუთა ნაძვ იგი და ნაძვსა მისგან შეამზადნა შუდნი სუეტნი ეკლესიისანი.

2. და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა, და აღმართნეს ექუსნი იგი სუეტნი თვს-თვსად.

3. ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკვრველ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესაგდებელად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა.

4. და აუნყეს მეფესა საკვრველი იგი ყოვლად ვერ-ძვრა ადგილითცა სუეტისა მის.

5. მაშინ მოვოდა მეფე სიმრავლითა ერისათა. და მოიხუნეს მრავალლონენი მანქანანი, და სიმარჯვთა და ერისა სიმრავლისა ძალითა ეცადნეს აღმართებად და ვერ შეძლეს.

6. და იყო დაკვრებულ მეფე და სიმრავლე ერისა, და იტყოდეს: „რა-მე არს ესე?“

7. და ვითარ იქმნა მწუხრი, წარვიდა მეფე სახიდ თვსად, შეწუხებული დიდად.

8. ხოლო წმიდა ნინო და ათორმეტნი მოწაფენი მისნი დედანი დაადგრეს სუეტსა მას თანა.

9. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა სუეტსა მას ზედა და ადიდებდა ცრემლთა მისთა.

10. ვითარცა შუალამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე.

11. და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნნეს წმანი საზარელნი ტყებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არაგვ გარდამოჰდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი



გრგუნვანი.

12. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს.

13. ხოლო ნეტარი ნინო ღალადებდა: ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰვიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს.

14. ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირვისაჲ დაეყენოს.

15. ხოლო ჴმად ესე ტყეებისაჲ არს ეშმაკთა სიმრავლისაჲ, რამეთუ იგლოვენ იგინი თავსა თუსსა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით ძალითა მალლისაჲთა და ჯუართა ქრისტესითა. მოიქეციოთ და ილოცევედით ღმრთისა მიმართ.

16. და მეყსეულად დასცხრეს ჴმანი იგი, და იყო არარა.

17. და დადგა წმიდაჲ ნინო, განეპყრნეს ჴელნი და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: რაჲთა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე.

18. კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა, სამთავე კართა ქალაქისათა დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან, დაღენნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა.

19. და შეიქმნა ჴმა ზარისსაჴდელი, ზრზინვაჲ, და ყივილი, და კლვაჲ. და აღივსო ყოველი ადგილი სისხლითა.

20. და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახჯლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჴორცნი, და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა თუსთა.

21. და მსწრაფლ ისმოდა, ჴმობდეს რაჲ ძლიერად: „მეფე სპარსთაჲ, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ჴურიად განარინეთ პირისაგან მახჯლისა“.

22. ესე რაჲ მესმა, და მოვეგე თავისა ცნობასა, და შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახლებულ იყვნეს მახჯლოსანნი გარემოჲს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.

23. და ისმა ჴმა ძლიერი — ”მირიან მეფე შეიპყრესო“.

24. გარე-მოიხილა მჴნემან მოღუანემან და თქუა: ესე რომელ ყივის, ვიცი, რომელ ან სამე დიდად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ — ესე ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს, და ქართლისა ცხოვრებისაჲ, და ამის ადგილისა დიდებისაჲ!

25. და ნუგეშინის-გუცემდა, ვითარცა მოძღუარი ჴელოვანი, ჴეშმა-რიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი.

26. მიექცა ერსა მას მომავალსა და ჰრქუა: - სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა? საბასტანით გუშინ წამოხ-

ვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ. ძლიერად დალენეთ ქალაქი ესე, და მახული დაეცით ქართა და ნიავთა.

27. წარგუალეთ ბნელით ჩრდილოეთ კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქუენ ევლტით!

28. და განძრა ჴელი ჯუარის სახედ და მეცსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი.

29. და იქმნა დაყუდებად დიდი, და დედანი იგი ჰნატრიდეს მას და ადიდებდეს ღმერთსა.

30. ხოლო ვითარცა ცისკარი აღელეზოდა, და მიერულა ყოველთა მათ დედათა. ხოლო მე, სიდონია, მღუძარე ვიყავ.

31. და იგი დგა ჴელგაპყრობით. აჰა ესერა, ზედ მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლით შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზენრითა, და ჰრქუა რადმე სამნი სიტყუანი.

32. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თუსსა, და ჭაბუკმან მან მიყო ჴელი სუეტსა მას და აღამალლა და წაილო სიმაღლესა შინა.

33. და განკვრვებული მივებალე მას და ვარქუ ესრეთ: ”დედოფალო, რა არს ესე?” ხოლო მან მრქუა: ”მოიდრიკე თავი ქუეყანად“ და ტირილად იწყო ზარისა მისგან.

34. და მცირედისა უამისა შემდგომად აღდგა და აღმადგინა და განვეშორენით მას ადგილსა.

35. ხოლო დედანი ვითარ იყვნეს კიდე, იხილეს მათცა: სუეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხსა მას, მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძუსასა.

## შენიშვნები:

\* „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს X საუკუნეში გადაწერილი სინური და შატ-ბერდული ხელნაწერებისაგან განსხვავებით, XIV საუკუნეში გადაწერილ ჭელიშურ ხელნაწერში სიდონიას მამის – აბიათარის ბენიამინის ტომისადნი მიკუთვნება: „...და იწყო სიტყუად აბიათარ: „უნყებულ იყავ შენ, ასტრიონ მთავარო, და შემოკრბეს ყოველისა ქუეყანისა მთავართა, რომელ მეფემან თუთ იცის, მე ნათესავი ბენიამენისი ვარ სჯულითა მოსესმიერთა...“ [მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ.103], ჭლიშური ხელნაწერის გადაწერის თვითნებური ინტერპრეტაცია უნდა იყოს, აბიათარის პავლე მოციქულთან გაიგივების გასამყარებლად „... მღვდელი აბიათარ ჰურიამ, რომელი იგი იყო მეორე პავლე...“ [მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ.152].

\*\* ასე რომ, თუკი ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით დავაკვირდებით ტექსტს, ადვილი შესამჩნევი უნდა იყოს, რომ ღმრთისმომში ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების ლეონტი მროველისეულ რედაქციაში ჩანერილი სიდონიას მიერ ნანახი ცაში გამართული ომის ეპიზოდის მიხედვით, როდესაც მცხეთაში მახვილოსნების მოსვლის გამო სხვებს შიშისაგან ხორცი აღნებოდათ და სული მისდიოდათ და იმავდროულად ეს სხვები, რომლებიც ბოროტ ძალას განასახიერებენ, თავიანთ ნათესავებს ტიროდნენ, ხოლო სიდონია მახვილებით შეჭურვილების მიერ განხორციელებულ ხოცვა-ჟლეტას სრული სიმშვიდით აღიქვამს; „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინური, შატბერდული და ჭელიშური რედაქციების თანახმად, მცხეთაში მახვილოსნების მოსვლის გამო სიდონიას და მასთან მყოფთ აღნებოდათ ხორცი და მისდიოდათ სული, რა დროსაც თვით სიდონია მამისათვის და თავის ნათესავთათვის ტიროდა.

იმედია, დამეთანხმებით, ვინაიდან, ცაში გამართულ ომში ბოროტი სულები მარცხდებიან, ამდენად სრულიად გაუგებარია მახვილოსანთა გამარჯვებით აღფრთოვანებული სულიწმიდის მაღლით შემოსილი ქალწულის სულიერი და სიდონია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინური, შატბერდული და ჭელიშური რედაქციების მიხედვით, რატომ მიიჩნევს, რომ მახვილოსნები მისი და მისიანების გასანადგურებლად არიან მოსულნი და რატომაც სიდონია იმ ძლეულთა შორის, რომელთაც მახვილოსნების მოსვლისას შიშისაგან ხორცი აღნებოდათ და სული მისდიოდათ. ამგვარად, ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ სინური, შატბერდული და ჭელიშური რედაქციების შემდგენელნი სარგებლობენ ისეთი ტექსტით, რომლის გადაწერიც სიდონიას მიერ ღმრთის დიდების ხილვისას ნანახ, უფლის კვართზე მშენებარე ეკლესიის ადგილის დასაპატრონებლად ცაში გამართული ომის არსში ვერ გაერკვა. ისე რომ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინურ, შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებში, წარმოჩენილი ლაფსუსი, ვფიქრობ, სიბრძნით შენობული ტექსტის ერთ-ერთი გადაწერის მიერ ცაში გამართული ომის ეპიზოდის არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული, რომელიც მოგვიანებით სინურ, შატბერდულ და ჭელიშურ ხელნაწერებში აისახა [ჩოლოყაშვილი, 2008 : 148-149, 157-161].

ასეთნაირად, რადგან მხოლოდ ლეონტი მროველისეული რედაქციით შემონახული ტექსტი გამოხატავს ნათლად წინასწარმეტყველებაში მოთხრობილი ამბის შინაარსს, საფიქრებელია, სიდონიას ხილვა შინაარსობრივად უცვლელი სახით ლეონტი მროველისეული რედაქციით შემორჩენილ ხელნაწერში იყოს დაცული.

---

Bidzina Cholokashvili

## **The Prophetess of the Georgian Church**

### Summary

In the manuscripts of the life of the Saint Nino dated back to X and XI centuries, our attention was attracted by the fact, that while praying to the God with st. Nino, to establish the church on the base of the st. Tunic, Sidonia, the descendent of the tribe of Israel, saw the event which took place at the same time as well as in the heaven, also on the earth : the New Jerusalem coming down from the heaven on the area of the church under construction on the Undivided Tunic of Christ.

It is undoubtful that during the vision, St. Nino and her spiritual sister Sidonia, who announce to us this important information , both of them in the moment of the vision are beyond the time and the Time retrenched.

This concrete vision could be allowed to the persons with high degree of spiritual vision and it is a mercy of God. Such kind of vision is similar to the visions of the Prophets and there is no doubt, that Sidonia was choose by God as a Prophetess.

In This work, veiled with wisdom, the passage concerning the vision of the Glory of God, was undoubtedly written in the period of the witness, other wise it couldn't have any importance to the Georgian Church.

We can state, that the Glory of God, seen by Sidonia, took part in the first half of the IV c. and this prophecy was told by Sidonia in the same time to the parish of the Georgian Church, that in the Georgian kingdom is build the Church waiting the Second Coming of Our Lord.

---

**დამონმებული ლიტერატურა**

1. მოქც. მირიან მეფისა., 1955 – მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ – ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი. 1955
2. აბულაძე, 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973
3. სურგულაძე, 2006 – მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV ს.ს., თბილისი, 2006
4. ჩოლოყაშვილი, 1988 – ბ. ჩოლოყაშვილი, ღვთაებების გაცი-სა და გა/გაიმ-ის რაობის განსაზღვრისათვის, ხელნაწერი, 1988.
5. ჩოლოყაშვილი, 2008 – ბ. ჩოლოყაშვილი, ქართულენოვანი ეკლესია - ახალი იერუსალიმი, 2008
6. Drijvers, 1992 – Jan Willem Drijvers, Helena Augusta, 1992